# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 24 თებერვალი 2004 №40 (2059) | ფასი 50 თეთრი



## ჟორდანიამ ნაკრების მწვრთნელის დანიშვნა სააკაშვილს უნდა შეუთანხმოს

## კალენდარი არის! ფიფამ თურქეთში გაგვიშვა

იხილეთ მეორე გვერდი



# დღეს ყველგან თოვლი და ლიგაა

## ბაიერნი — რეალი: მთავარი თემა და ქართველები

ევროპული ფეხბურთის მამებმა ისე ინებეს, რომ საამსეზონო ჩემპიონთა ლიგა ძველი ფორმატით, ანუ მეორე ჯგუფური ეტაპის გარეშე, საპლეიოფო შეხლით განახლდება. დღეს და ხვალ ბებერი კონტინენტის რვა ქალაქის ზამთრისგან დამზრალ სტადიონებზე მერვედფინალის პირველი მატჩებია. ჩვენს გამორჩეულ ყურადღებას კი დღევანდელი თამაშები უფრო იპყრობს. „ბაიერნ“ — „რეალის“ ტრადიციადქცეული ხათქა-ხუთქი მართლაც გამორჩეული ამბავია. მერე რა, რომ გერმანული მანქანა ამ ბოლო დროს ცუდად ღრჭიალებს, ხოლო მადრიდული „გალაქტიკო“ მართლაც მეფურ ფეხბურთს თამაშობს — ამ წყვილს შორის „რეალის“ ფავორიტად ხელაღებით გამოცხადება სარისკო საქმე რომაა, კარგად უწყის „რეალის“ ინგლისელმა ვარსკვლავმა დევიდ ბექჰემმაც, რომელმაც მიუნხენში იქაურ მედიას უთხრა: „ჩვენსა და „ბაიერნს“ შორის შესაძლოა, ფავორიტებად ჩვენ გვთვლიდნენ, მაგრამ ეს სხვები, თავად ჩვენ კი ასე არ ვფიქრობთ.“

ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის, იტალიური „მილანის“ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის კი ჩეხური „სპარტას“ დამარცხებისა არც ეეჭვება. საამსაქმოდ კი „შავ-წითელთა“ ძირითად თერთმეტეულში ქართველი კახა კალაძეც შეუგულებია.

ფრანგული „მონაკოს“ ჩერკიზივოში ნაქცევას ასევე ქართველებით ეშურება იური სიომინი, რომლის „ლოკომოტივის“ მერვედფინალში გასვლა მიხეილ აშვეთიას გოლთა დამსახურებაცაა. აშვეთია რომ სასტარტოში დაიწყებს, გადაწყვეტილი ამბავია, ხოლო მალხაზ ასათიანის ძირითადობა სავარაუდო საქმედ სჩანს.





დათოვლილ „ოლიმპიაშტადიონზე“ მიუნხენელებმა და მადრიდელებმა ივარჯიშეს და იგუნდავეს კიდეც



# ფიფამ საქართველო თურქეთში გაუშვა

**შესარჩევი** ჯგუფის კალენდარი, როგორც იქნა, დამტკიცდა. საქართველო ციკლს თურქეთში დაიწყებს და საბერძნეთში დაამთავრებს.

გუშინ ფიფას შტაბ-ბინაში შეკრებილ მეორე შესარჩევი ჯგუფის გუნდების წარმომადგენლებს ფიფას გენერალური მდივანი ურს ლინსი და მისი მოადგილე ჟერომ შამპანი მასპინძლობდნენ. მეტოქეებს პრეზიდენტი ზეპ ბლატერიც მიესალმა და კალენდარზე მოსალაპარაკებლად ერთი ცდაც მისცა.

შვიდი თანაჯგუფელი განმარტოვდა და 30 იანვარს კიევში დაწყებული საქმე ციურიხში გააგრძელა, თუმც სამი საათის შემდეგ უშედეგოდ დაამთავრა. გუნდები, უფრო სწორად, თურქები, როგორც აქამდე, დანარჩენებს ყურს არ უგდებდნენ და თავიანთი ვარიანტის კბილებით გატანას ცდილობდნენ. რომ არაფერი გამოდიოდა, ფიფას გენმდივანმა მეტოქეები თავისებურად დააშოშმინა, მოეწყო კენჭისყრა, გუნდები ანბანის მიხედვით დაეწყვნენ.

საქართველოს ხვედრი ასო C აღმოჩნდა, A ყაზახეთისა იყო, B დანიის, D ბერძნების, მერე კი ალბანეთი, თურქეთი და უკრაინა დაინიშნენ. პირობითად პირველ ნომრად განთესილი, ანუ ყაზახეთი, პირველ ტურში ისვენებდა, მეორე — მეორეში და ასე შემდეგ. დაწყვილების პრინციპი მარტივი იყო: ვინაიდან ყაზახეთი პირველ ტურში ისვენებდა B G-თან დაწყვილდა, C F-თან, D E-თან. მოკლედ და უფრო გასაგებად, შესარჩევის პირველ ტურში გუნდები ასე დაწყვილდნენ: დანია — უკრაინა, თურქეთი — საქართველო, ალბანეთი — საბერძნეთი, ყაზახეთი 4 სექტემბერს ისვენებს. კენჭისყრის შესაბამისად მეორე ტურს დანია გამოტოვებს, მესამეს — საქართველო...

მთელი ეს პროცედურა ნახევარ საათში დასრულდა. გუნდებმა ერთი თვე ერთმანეთი დაჭამეს, ფიფამ კი საქმე წუთებში მოამთავრა. თანაც ისე, რომ საქართველოს ნაკრებს დასაწუნი არაფერი აქვს.

შესარჩევი ციკლის თურქეთში თამაშით დაწყებასა და საბერძნეთით დამთავრებას თუ არ ჩავთვლით, კალენდრის შუაში ჩვენებისთვის ხელსაყრელი გრაფიკია. თავად განსაჯეთ: მეხუთე ტურიდან მეცამეტემდე საქართველო რვაჯერ თამაშობს და კარგი შანსი აქვს, შვიდი მოიგოს, აქედან ექვსი ზედიზედ. ვმასპინძლობთ დანიას, ვსტუმრობთ ყაზახეთს, ზედიზედ ვილებთ ბერძნებსა და თურქებს, გავდივართ ალბანეთში, ვისვენებთ, დანიაში მატჩამდე უკრაინას ვხვდებით, ბოლოსწინა ტურში კი ყაზახეთს ვმასპინძლობთ.

შესაძლოა ჩვენების საქმე ისეც აეწყოს, რომ მეხუთე ტურიდან შინ ზედიზედ ოთხჯერ ითამაშონ. ყოველ შემთხვევაში, ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ, რომელსაც წუხელ კიევში დავუკავშირდით, გვითხრა, რომ ყაზახეთში თამაშის თარიღი, 9 თებერვალი, მონიშნული აქვს და რადგანაც ამ პერიოდში ყაზახეთში ძალიან ცივა, შესაძლოა, ეს მატჩი თბილისში ჩატარდეს, შესაბამისად კი, ბოლოსწინა შეხვედრა — ალმაათაში, 8 ოქტომბერს. იმ დროისთვის კი ჯგუფში, სავარაუდოდ, გასარკვევი გარკვეული იქნება...

საქართველოდან ციურიხში, ისევე როგორც 30 იანვარს კიევში, ფედერაციის გენმდივანი ვალერი ჩოლარია იყო. კიევური შეხვედრისაგან განსხვავებით, გუშინ ციურიხში მრავალრიცხოვანი არც ჩვენი მეტოქეების დელეგაციები ყოფილა. ვინც იქ იყო კი, აღნიშნეს, რომ ფიფასეული კალენდარი მეტნაკლებად ყველა გუნდისთვის მისაღებია... უკრაინის გარდა. ბოლო ტურში დასვენება უკრაინელებს კარგს არაფერს უქადისო, უთქვამთ მეტოქეებს. ჩოლარიას თქმით კი, რომელიც თბილისში გერმანიიდან დღეს დაბრუნდება და ალბათ, ნაკრებისთვის „პუმას" ერთ კომპლექტს გამოიყოლებს, კალენდრის დამტკიცებას ყველა გუნდი მშვიდად შეხვდა და ერთმანეთს მეგობრულად დაშორდა. არც თურქ-ბერძნები წალაპარაკებულან, რომლებმაც კიევში ლამის ერთმანეთი დახოცეს. და ამ გახსენებაზე ესეც ვთქვათ: კიევში თურქეთი საბერძნეთში თამაშს 4 სექტემბერს ითხოვდა, რასაც ბერძნები არ ეთანხმებოდნენ, ამ დროს ათენი ოლიმპიადას მასპინძლობსო. საბოლოოდ კი... აგერ კალენდარი, ბერძნებს წაკიდებული მეზობლების მასპინძლობა სექტემბერში მაინც მოუწევთ, მათი ომი 8 სექტემბერს დაინიშნა.

**კობა ინასარიძე**

## 2002 წლის 21 აგვისტო
## თურქეთი — საქართველო ერთხელ უკვე იყო





## მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### ევროპა. II ჯგუფი

*თურქეთი, დანია, საბერძნეთი, უკრაინა, საქართველო, ალბანეთი, ყაზახეთი*

**2004**

4 სექტემბერი
დანია — უკრაინა
თურქეთი — საქართველო
ალბანეთი — საბერძნეთი

8 სექტემბერი
ყაზახეთი — უკრაინა
საქართველო — ალბანეთი
საბერძნეთი — თურქეთი

9 ოქტომბერი
თურქეთი — ყაზახეთი
ალბანეთი — დანია
უკრაინა — საბერძნეთი

13 ოქტომბერი
ყაზახეთი — ალბანეთი
დანია — თურქეთი
უკრაინა — საქართველო

17 ნოემბერი
საბერძნეთი — ყაზახეთი
საქართველო — დანია
თურქეთი — უკრაინა

**2005**

9 თებერვალი
ყაზახეთი — საქართველო
საბერძნეთი — დანია
ალბანეთი — უკრაინა

26 მარტი
დანია — ყაზახეთი
საქართველო — საბერძნეთი
თურქეთი — ალბანეთი

30 მარტი
უკრაინა — დანია
საქართველო — თურქეთი
საბერძნეთი — ალბანეთი

4 ივნისი
უკრაინა — ყაზახეთი
ალბანეთი — საქართველო
თურქეთი — საბერძნეთი

8 ივნისი
ყაზახეთი — თურქეთი
დანია — ალბანეთი
საბერძნეთი — უკრაინა

3 სექტემბერი
ალბანეთი — ყაზახეთი
თურქეთი — დანია
საქართველო — უკრაინა

7 სექტემბერი
ყაზახეთი — საბერძნეთი
დანია — საქართველო
უკრაინა — თურქეთი

8 ოქტომბერი
საქართველო — ყაზახეთი
დანია — საბერძნეთი
უკრაინა — ალბანეთი

12 ოქტომბერი
ყაზახეთი — დანია
საბერძნეთი — საქართველო
ალბანეთი — თურქეთი

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია კვიპროსიდან გუშინ გამთენიისას დაბრუნდა და გუშინვე კიევს გაემგზავრა. დღეს ის მოსკოვს უნდა გაფრინდეს და ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატს ანატოლი ბიშოვეცს შეხვდეს.*

*ნაკრების თავკაცი დღესვე არ დაინიშნება, არც ხვალ-ზეგ, თუმც თებერვალში კი დაინიშნება, ფედერაციის პრეზიდენტი ამ საკითხს ქვეყნის პრეზიდენტის გარეშე ვერ გადაწყვეტს. პრეზიდენტი კი, მოგეხსენებათ, ამერიკაშია. ჩამოვა ქვეყნის თავი და ნაკრებსაც თავი დაედგმება*

# სააკაშვილს მწვრთნელის დამტკიცებაც მოუწევს



მიხეილ სააკაშვილს ამერიკაში გამგზავრებამდე ასე დაუბარებია — ეროვნული გუნდის მწვრთნელი უჩემოდ არ დანიშნოთო. ზოგადად, კარგია, პრეზიდენტი ფეხბურთით ასე სერიოზულად რომ დაინტერესდა და ჩვენი ფეხბურთისთვის ასეთი მნიშვნელოვანი საქმის გადაწყვეტას მასთან შეთანხმებით ითხოვს. თუმც ესეცაა, რას ეტყვიან პრეზიდენტს, რა ინფორმაციას მიაწვდიან, ვის კანდიდატურას ურჩევენ?

სადღეისოდ კი, იცით, ნაკრების თავკაცის პოსტზე ერთი კანდიდატია, ოლიმპიური ჩემპიონი, უკრაინელი ანატოლი ბიშოვეცი, ვისთანაც ყველაფერი შეთანხმებულია და მწვრთნელად მის გამოცხადებას ოდენ კონტრაქტზე ხელმოწერა აკლია, მაგრამ... მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტი?

ქვეყნის პრეზიდენტი ჯერ ამერიკაშია... ფედერაციის პრეზიდენტი კი მოსკოვში მიემგზავრება...

— ძალიან კარგია, რომ სახელმწიფო, როგორც იქნა, დაინტერესდა ფეხბურთით და ჩვენი საქმეები პრეზიდენტის დონეზე უნდა მოგვარდეს. მიხეილ სააკაშვილი ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესების საქმის კურსში უნდა იყოს — გვითხრა გუშინ კიევიდან მერაბ ჟორდანიამ — კვიპროსიდან დაბრუნებული გიორგი გაბაშვილსა და ირაკლი მეძმარიაშვილს შევხვდი, კმაყოფილი დავრჩი, ნაკრების მწვრთნელის დანიშვნის საქმე მთავრობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

— მოსკოვში ბიშოვეცს უნდა შეხვდეთ თუ ნაკრებისთვის სხვა კანდიდატურებიც გამოჩნდა?

— არა, მოსკოვში ანატოლი ბიშოვეცს უნდა შევხვდე.

— როდის გააფორმებთ მასთან კონტრაქტს?

— ახლა ზუსტად ვერაფერს გეტყვით. თბილისში სამ-ოთხ დღეში დავბრუნდები და მწვრთნელსაც ამ თვის ბოლომდე დავნიშნავთ.

— უკვე რა ხანია, ასე ამბობთ...

— მესმის, რომ ფეხბურთის ყველა ქომაგი დაძაბულია და მოუთმენლად ელის ახალი მწვრთნელის ვინაობის გამოცხადებას, თუმც ეს ისეთი საკითხია, რასაც ერთი ხელის მოსმით ვერ გადავწყვეტთ, არჩევანში არ უნდა შევცდეთ. ისიც მესმის, რომ ნაკრების კვიპროსზე გამოსვლამ ქომაგი ძალიან აანერვიულა, ვიზიარებ ჩვენი მისამართით გამოთქმულ შენიშვნებს. თუმც ნუ დავივიწყებთ, მიუხედავად უმწვრთნელობისა, კვიპროსის ტურნირი მოსამზადებელი იყო, ამ მატჩებმა რამდენიმე ფეხბურთელის შესაძლებლობებში დაგვარწმუნა და ვფიქრობ, მათ ნაკრების ძირითად შემადგენლობაში თამაში დაიმსახურეს. ოფიციალურ მატჩებამდე მწვრთნელს მათ შესაძლებლობებში დასარწმუნებლად დრო ექნება და იმის საშუალებაც, რომ ეს ბიჭები საქმეში ნახოს.

— მოკლედ, მწვრთნელი ხვალ არ დაინიშნება?

— ხვალ არა, მაგრამ ამ თვის ბოლომდე აუცილებლად დაინიშნება.

— ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრას ელით?

— პრეზიდენტი ახლა ამერიკაშია, ფეხბურთი მან პირად კონტროლზე აიყვანა და უნდა იცოდეს, ნაკრების მწვრთნელი ვინ იქნება.

**კობა ინასარიძე**

### გერმანია
II ბუნდესლიგა. XXI ტური
**არმინია 1:0 უნტერჰახინგი**

### იტალია
სერია B. XXVIII ტური
**ტორინო 1:0 კომო**

სერია C1/A
XXIII ტური
**ჩეზენა 1:1 არეცო**

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა
XVIII ტური
**ბანიკი — სინოტი გადაიდო**

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XXV ტური
**კაენი 2:2 ნიორი**

### პორტუგალია
სუპერლიგა. XXIII ტური
**ბოავიშტა 1:1 რიუ ავე**

### თურქეთი
სუპერლიგა. XXII ტური
**ელაზიგი 3:1 სებათი**

### ჰოლანდია
II დივიზიონი. XXIV ტური
**ვეენდამი 1:1 იგლსი**

*როცა ჩვენი ეროვნული ნაკრები აგებს, ეს ძალიან ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ კვიპროსის ტურნირზე საქართველო უჩვეულოდ, განსაკუთრებულად დამარცხდა.*

*კვიპროსზე გუნდს დროებით გოჩა ტყებუჩავა ხელმძღვანელობდა, ვისაც გუშინ ნაკრების იქაური ამბების მოყოლა ვთხოვეთ*

# მე ის შევასრულე, რაც დამავალეს

## ტყებუჩავამ იაშვილი და მამალაძე დაინახა



გურამ ციხელაშვილის ფოტო

— მსურს, გულშემატკივრები ყველაფერში გარკვეულები იყვნენ. მე კვიპროსზე იმიტომ წავედი, რომ ანატოლი ბიშოვეცს დავხმარებოდი გუნდის გაწვრთნაში, მაგრამ იქ რომ ჩავედი, ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ნაკრების გაწვრთნა დამავალა — ვარჯიშებზეც და თამაშებზეც გუნდისთის მე უნდა მეხელმძღვანელა. მოკლედ, ნაკრები მოულოდნელად ჩამაბარეს.

**— და პირველი მატჩი რუმინეთთან გვქონდა...**

— რუმინეთთან წავაგეთ, მაგრამ ნორმალურად ვითამაშეთ. ჩვენი ფეხბურთელების გარჯით საერთო ჯამში კმაყოფილი დავრჩი, თორემ წაგებით, ცხადია, ყველანი უკმაყოფილო ვართ. რუმინეთს თითქმის ყველა უძლიერესი ფეხბურთელი ჰყავდა, ხოლო ჩვენ რა შემადგენლობით ვიყავით ტურნირზე, კარგად მოგეხსენებათ. სწორი ტაქტიკით ვითამაშეთ, 0:0-ზე 11-მეტრიანი ვერ გავიტანეთ, მეორე ტაიმში კი ორი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. თამაშის შემდეგ მსაჯმა გვითხრა, რომ მეორე ტაიმში დასანიშნი პენალტი არ დანიშნა, ვერ დავინახეო — სანდრო იაშვილს მაისურაზე მოქაჩეს.

პრესკონფერენციაზე რუმინელთა მთავარმა მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმაც თქვა, მეტოქემ კარგად, ჭკვიანურად ითამაშა და შანსი იყო, თამაში ვერ მოგვეგო, თანაც პენალტი რომ გაეტანათ, არავინ იცის, რა მოხდებოდაო. იორდანესკუმ ისიც დასძინა, პირველ ტაიმში საქართველომ ჩვენზე უკეთ ითამაშაო.

**— ჩვენი ნაკრებიდან ვინმეს თუ გამოარჩევდით რუმინეთთან მატჩში?**

— გამოვყოფდი ამისულაშვილსა და იაშვილს — ისინი რუმინელთა მწვრთნელსა და ჟურნალისტებსაც თვალში მოუვიდათ. სხვათა შორის, პრესკონფერენციაზე რუმინელმა ჟურნალისტებმა მკითხეს, თქვენი ჟურნალისტები სად არიანო. ვუპასუხე, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, საქმის კურსში არ ვარ-მეთქი. ძალიან კარგი იქნებოდა, ტურნირს ჩვენი ჟურნალისტებიც დასწრებოდნენ

**— ქართულ პრესაშიც განსხვავებული რეზონანსი მოჰყვებოდა ჩვენი ნაკრების კვიპროსულ პერიპეტიებს.**

**— მეორე დღეს კვიპროსთან 1:3 დამარცხდით — ამას რას დააბრალებდით?**

— კვიპროსთან სხვა, შემტევი ტაქტიკით ვითამაშეთ. მეტოქე ჩვენს ნახევარზე ვერ გადმოდიოდა, ბურთის ფლობის და სახიფათო მომენტების მხრივაც უპირატესობა ჩვენი იყო, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს ძალიან კურიოზული გოლი გავუშვით. მეორე ტაიმშიც იგივე სურათი იყო, მაგრამ მცველთა დაუდევრობის გამო კიდევ ორი გოლი მივიღეთ. საერთოდ კი, ამ ტურნირზე ჩვენს წარუმატებლობას ორ ფაქტორს ვაბრალებ: წამყვანი ლეგიონერების არყოფნა და ის, რომ ნაკრების ფეხბურთელთა უმრავლესობა მოსამზადებელი შეკრებიდან იყო აყვანილი და დიდი დატვირთვების ფონზე მოუწიათ თამაშმა. თანაც, რუმინეთთან მატჩის შემდეგ თავიანთ კლუბებში დაბრუნდნენ ამისულაშვილი და სირაძე, ხოლო ახალაიამ ტრავმა მიიღო — 15 ფეხბურთელის ამარა დავრჩით და ეს მაშინ, როცა სხვა გუნდები, ფაქტობრივად, ორ-ორი შემადგენლობით იყვნენ ჩამოსულები ტურნირზე.

**— სომხეთთან წაგებულ მატჩზე რაღას იტყვით?**

— სომხეთთან ვერ ვითამაშეთ რიგიანად და წავაგეთ კიდეც. ეს იმის ბრალი იყო, რომ ფეხბურთელებს ძალა გამოცლილი ჰქონდათ.

**— კვიპროსული ტურნირი ძირითადად თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს დააწვათ — ხომ შეგეძლოთ ფეხბურთელების მიწვევა „თბილისიდან“, „ვიტ ჯორჯიადან“ ან კიდევ სხვა გუნდებიდან. ასეთ შემთხვევაში ხომ დინამოელებიც აღიდგენდნენ ძალებს და იქნებ ნაკრებს უკეთესი შედეგისთვისაც მიეღწია...**

— ის შემადგენლობა, რაც კვიპროსზე გვყავდა, მე არ დამიდგენია. ჩემს კომპეტენციაში არც სხვა ფეხბურთელების დამატება შედიოდა, თორემ ფეხბურთელთა რაოდენობის გაზრდა მართლაც შეიძლებოდა. ჩემთვის არაფერი უკითხავთ, თორემ რაღაცრაღაცეებს მართლაც შევცვლიდი, თუნდაც იმ ლეგიონერებს მოვიწვევდი, რომლებსაც ნაკრებში სისტემატურად არ იძახებენ, მაგრამ მე ის შევასრულე, რაც დამავალეს.

**— შეგიძლიათ გადაჭრით თქვათ, რომ კვიპროსის ტურნირს საქართველოს ნაკრებისთვის არანაირი ხეირი არ მოუტანია?**

— ამ ტურნირის მიზანი ჩვენთვის ის იყო, რომ დაგვენახა ის ფეხბურთელები, რომლებიც მომავალშიც ითამაშებენ ეროვნულ ნაკრებში. შეიძლება ითქვას, რომ ტურნირის შემდეგ რამდენიმე ასეთი ფეხბურთელი გამოიკვეთა. მკვეთრად მოუმატა თამაშს ამისულაშვილმა, ნაკრებში თამაში შეუძლიათ კვირკველიას და ქემოკლიძეს. იმასაც დავძენ, რომ ძალიან მომეწონა სანდრო იაშვილი. სომხეთთან კარგად ითამაშა ზურაბ მამალაძემ — რომ არა ეს მეკარე, სომხებთან ალბათ უფრო დიდი ანგარიშითაც დავმარცხდებოდით.

**დავით თავართქილაძე**



გურამ ციხელაშვილის ფოტო

ზურაბ მამალაძე



კვიპროსზე ეგრეთ წოდებულმა საქართველოს ნაკრებმა ვერა და სანდრო იაშვილმა (ბურთით) კი კარგად იტრიალა



# აქაურმა აქ ისროლოს

## სნაიპერ გონჩაროვისთვის არსენალი არ გამოვიდა

**თითქმის** ორთვიანი უილბლო უკრაინული ვოიაჟის შემდეგ თბილისში დაბრუნდა ბოლნისური „სიონის“ შემტევი ბორის გონჩაროვი. ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბომბარდირი დეკემბრის ბოლოს კიევში გაემგზავრა ბედის საცდელად. გონჩაროვი „არსენალში“ ისინჯებოდა, გუნდს შეკრებაზეც ახლდა, თუმცა საქმე კონტრაქტამდე არ მისულა. გონჩაროვს „სიონთან“ სეზონის ბოლომდე აქვს ხელშეკრულება და საქართველოში დაბრუნებულმაც თბილისში, დიდუბის მანეჟში შეკრებაზე მყოფ ბოლნისელებს მიაკითხა, თუმც დიდი შანსია, საგაზაფხულო ეტაპს ჩემპიონატის მთავარმეგოლე „სიონში“ არც შეხვდეს. გონჩროვით „ლოკომოტივია“ დაინტერესებული. წამყვან ფეხბურთელებშემოცლილი და იძულებით გაახალგაზრდავებული რკინიგზელები ორი-სამი გამოცდილით აპირებენ მეორე ეტაპზე თამაშს და ერთ-ერთ მათგანად სწორედ გონჩაროვი შეუგულებიათ. ამის შესახებ თავად „ლოკომოტივის“ გენერალურმა მენეჯერმა ლევან ყიფიანმა გვითხრა, თუმც გონჩაროვის გარკინიგზელება ჯერჯერობით საეჭვოა ორი გარემოების გამო: „სიონს“ ლიდერი არ ეთმობა, რომც შეელიოს, „ლოკომოტივს“ ფეხბურთელის პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილება მოუწევს, ეს კი მართლაც დიდი პრობლემაა რკინიგზელთა სადღეისო მწირი ბიუჯეტისთვის.

**პაატა ქვანტალიანი**

# დარასელია ალანიას დუბაიდან დაიწყებს

**თბილისში** მყოფი ვიტალი დარასელია ჯერაც ფიქრობს, რომელი რეისით შეუერთდეს დუბაიში მყოფ „ალანიას“.

— ალბათ, პრაღის რეისით გავფრინდები. „ალანიას“ ხელმძღვანელობამ უკვე რამდენჯერმე დამირეკა და მეც ერთი სული მაქვს, ახალი გუნდი გავიცნო — გვითხრა გუშინ დარასელიამ.

შეგახსენებთ, რომ „ალანიამ“ დუბაის მესამე მოსამზადებელი შეკრებისთვის ჩააკითხა და პირველ ამხანაგურ მატჩს დღეს გამართავს. ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს ოსთა გააქტიურება.

**დავით ერაძე**





„ინტერის“ პირველი გოლისას ბურთმა კალაძეს ახლოს ჩაუქროლა, ბოლოს კი მაინც კახამ და „მილანმა“ გაიხარეს

# კალაძე ზღაპარში

## ყაველაშვილმა აარაუ ნამუსის ახდას გადაარჩინა

კახა კალაძეს გამოცდილება აქამდეც არ აკლდა, მაგრამ ქართველმა მცველმა შაბათს მილანურ „მადონინაში“ მონაწილეობით დიდად ფასეული რამ შეიმატა. მსოფლიოს ფეხბურთში გამორჩეულ ერთ-ერთ კლასიკურ დერბიში კალაძე საფეხბურთო თვალსაზრისით მართლაც ზღაპრულ ვითარებაში მოხვდა. მოსისხლეთა ომში „ინტერმა“ პირწმინდად მოუგო მატჩის პირველი ნახევარი „მილანს“, ბოლოს კი „როსონერიმ“ ორბურთიანი ჰანდიკაპიც გაქვითა და გამარჯვების გოლის გატანაც შეძლო. ამ ყველაფრის უშუალო მონაწილე კი ქართველი მცველიც გახლდათ, რომელმაც, მისი გუნდის მსგავსად, ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშა. კალაძე ინერტული იყო პირველ ნახევარში, მეორე ტაიმში კი სტაბილური და საიმედო. ერთიცაა, ამ სეზონში იტალიელთა ქართველი ლეგიონერი სხვადასხვა მიზეზთა გამო არ არის განებივრებული მილანური პრაქტიკით და ვიმედოვნებთ, რომ შაბათის დერბის შემდეგ კალაძის საქმეები უკეთ აეწყობა.

ამ მატჩში „მილანის“ გამარჯვება იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მისმა ორმა უმთავრესმა კონკურენტმა — „რომამ“ და „იუვენტუსმაც“ გაიმარჯვეს. მოკლედ, „როსონერიმ“ მდევრებთან სხვაობა შეინარჩუნა და დღეს ჩინებული განწყობით შეხვდება ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ჩეხურ „სპარტას“.

გერმანიაში ბუნდესლიგის ლიდერ „ვერდერს“ შინ ეთამაშა ლევან კობიაშვილის „შალკე“. „ხუმარებმა“ ფავორიტ ბრემენელებს არაფერი დაუთმეს და გვარიან ბრძოლაში 0:0 გამოვიდა. კობიაშვილმა შეუცვლელად ითამაშა, მაგრამ, წინა მატჩების მსგავსად, თავი არაფრით გამოუჩენია. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ნახევარმცველი სტაბილურად ჩაჯდა „შალკეს“ ძირითადში, აშკარაა, ლევანს გაცილებით შთამბეჭდავი პერიოდი ჰქონდა „ფრაიბურგში“ ყოფნისას. „შალკეში“ კი კობიაშვილის საფეხბურთო წინსვლას ჯერ პირი არ უჩანს, ჩავთვალოთ, რომ ეს დროის ამბავია.

ჯერჯერობით ბუნდესლიგაში სტუმრად მხოლოდ „ფრაიბურგს“ არ მოუგია და „გლადბახთან“ საგარეო მატჩის შემდეგ ყველაფერი ძველებურად დარჩა. არადა, ფინკეს გუნდი ახლოს იყო გამარჯვებასთან: სტუმრები მატჩის მსვლელობისას 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ საკუთარი დაუდევრობით „გლადბახს“ გათანაბრების საშუალებს მისცეს და ბოლოს ქულასლა დასჯერდნენ. „ფრაიბურგში“ შეუცვლელად ითამაშა ლევან ცქიტიშვილმა, ალექსანდრე იაშვილი კი სათადარიგოებში იჯდა. ქართველ შემტევს ფოლკერ ფინკემ აფრიკის თასიდან დაბრუნებული კულიბალი არჩია.

„ჰიბერნიანის“ ოხტში ამოვიდნენ შოთა არველაძე და მისი „რეინჯერსი“. გეხსომებათ, „ჩაფრებმა“ ცოტა ხნის წინ სწორედ ედინბურგელებს გაატანეს შოტლანდიური სალიგო თასის ფინალის საგზური. „ჰიბს“ — „რეინჯერსის“ მაშინდელ ომს პენალტების სერია მოჰყვა და იქ არველაძემ და ხიზანიშვილმა თავიანთი შანსი ვერ გამოიყენეს.

პენალტებმა გადაწყვიტა შაბათის პრემიერლიგური მატჩის ბედიც და თამაშის დებიუტში არველაძე მისივე წაქცევისთვის უყოყმანოდ მივიდა თერთმეტმეტრიან ნიშნულთან. მივიდა და შეაგდო კიდეც. „რეინჯერსმა“ 3:0 მოიგო და მესამე გოლი ასევე პენალტით არველაძის შემცვლელმა სტივ ტომპსონმა გაიტანა.

აი, პარადოქსი — ცოტა ხნის წინ საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი მიხეილ ყაველაშვილი შვეიცარიულ უმაღლეს ლიგაში მეტეორივით დაფრინავს. ყაველაშვილის „აარაუ“ თუნში ჩავიდა და გოლთა წვიმაც ატყდა. „თუნმა“ ექვსჯერ შეურხია კარის ბადე აარაუელებს. მომხდურებს კი ნამუსი სწორედ ყაველაშვილმა მოსწმინდა ჰეთ თრიქით. „აარაუს“ ინტერნეტ გვერდზე წერია, „თუნი“ და ყაველაშვილი თამაშობდნენო. მიშას სამივე გოლი ინდივიდუალური მცდელობით შეუგდია და აარაუელებს იმედი აქვთ, ეგებ ჩემპიონატის პლეი ოფში ყაველაშვილის ძალისხმევით მოვხვდეთო.

ავსტრიაში ბუნდესლიგის საახალწლეო პირველ ტურში შეუცვლელად ითამაშა დავით მუჯირმა. მისმა „შტურმმა“ კონკურენტ „ზალცბურგს“ ვერ მოუგო — მუჯირის ორიოდ საგოლე მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია.

გოგა გახოკიძის „ტვენტემ“ ბევრი იჭიდავა ამსტერდამში „აიაქსთან“, მაგრამ დებიუტში ესკუდეს მიერ გატანილი გოლი ვერაფრით გაქვითა. იმ გოლისას მეკარის უნიათობის გამოსწორება სწორედ გახოკიძეს შეეძლო, მაგრამ კუთხურს მოყოლებული ესკუდეს თავურისას კარის ხაზზე მდგომი ჩვენებური ბურთს ვერ შესწვდა. ამ წაგებით „ტვენტემ“ ერთობ გაიუარესა უეფას თასზე გამსვლელ მეხუთე ადგილზე მოხვედრის შანსი, მაგრამ ენსხედელებს ევროპაში ფანჯრის გაჭრის საშუალება ჰოლანდიური თასის მოგებით რჩებათ.

**პაატა ძვანტალიანი**

| სახელი გვარი | გუნდი | | სად მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ინტერი 3:2 | 90 | | 3 | 0 | 1 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ვერდერი 0:0 | 90 | | 20 | 0 | 7 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | გლადბახი 2:2 | 0 | სათადარიგო | 19 | 6 | 11 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | გლადბახი 2:2 | 90 | | 17 | 2 | 11 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | ალემანია 0:1 | 33 | შეცვლაზე ითამაშა | 20 | 6 | 14 |
| დავით სირაძე | უნიონი | ს | ფიურტი 2:2 | 0 | | 2 | 0 | 16 |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ზალცბურგი 0:0 | 90 | | 13 | 0 | 9 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | ჰიბერნიანი 3:0 | 69 | 1 გოლი, შეცვალეს | 16 | 12 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | ჰიბერნიანი 3:0 | 0 | ტრავმირებულია | 15 | 0 | 2 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | აიაქსი 0:1 | 77 | შეცვალეს | 21 | 1 | 8 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | აარაუ | ს | თუნი 3:6 | 90 | 3 გოლი | 2 | 3 | 6 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | შ | სლავია 2:1 | 0 | | 0 | 0 | 3 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | ს | სპარტაკი (ვარნა) 2:1 | 0 | | 4 | 1 | 8 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ამისულაშვილმა სული მოითქვა

ესპანურ ლა მანგაში დაწყებულ ტურნირზე პირველი მატჩი ითამაშა კიევის „დინამომ“, რომელმაც ნორვეგიული „ოდ გრელანდს“ 4:1 სძლია. ეს მატჩი, რაღა თქმა უნდა, ალეკო ამისულაშვილის გამო გვაინტერესებდა და უკრაინული გრანდის ძირითადში ქართველის თამაშს ველოდით, მაგრამ იგი სათადარიგოთა შორისაც ვერ აღმოვაჩინეთ. ამიტომ მას ლა მანგაში შევეხმიანეთ და... კითხვა ვინ გაცალა...

— ვიცი, რატომ რეკავ, ნუ ინერვიულებთ, არც ტრავმირებული ვარ და არც კლუბში მაქვს საქმეები ცუდად. უბრალოდ, ამდენი ვარჯიშისა და მგზავრობისგან გადავიღალე და ეს მიხაილიჩენკოსაც არ გამოჰპარვია. დასვენება თავად შემომთავაზა. მითხრა, დასვენება ახლა ჯობია, ვინაიდან მერე ამის ნაკლები შესაძლებლობა გექნებაო. 26 თებერვალს პრიმერადივიზიონის „მურსიას“ ვხდებით და იმ მატჩში აუცილებლად ვითამაშებ — ასე დაგვამშვიდა ალეკომ. აქვე იმასაც დავძენთ, რომ მას მერე, რაც ქართველი ფეხბურთელი „დინამოს“ საკუთრება გახდა, კიეველებმა 10 ამხანაგური მატჩი ჩაატარეს. ალეკომ 9 შეხვედრაში ითამაშა, ამათგან შვიდში სრულად.

**დავით ერაძე**



ალექსანდრე ამისულაშვილი

# ორივე ლადოს დიაგნოზი მაინც სწყალობს

**ბოლო** დროს საოცრად დანავსულ ლადო ბურდულს ერთ რამეში მაინც გაუმართლა. კიევის „დინამოს“ მოსამზადებელ ეტაპზე ნატკენი კოჭი საოპერაციო არ აღმოჩნდა. ლადო კი ყველაზე მეტად სწორედ ოპერაციას უფრთხოდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში მინიმუმ სამთვიანი უქმობა მოუწევდა. გუშინ ეს ამბავი თავად ბურდულმა დაგვიდასტურა: „ექიმის კაბინეტიდან ეს წუთია გამოვედი. ბოლო რენტგენმაც აჩვენა, რომ ოპერაციის გარეშეც შეიძლება მკურნალობა. ახლა მინიმუმ ორი კვირა, მაქსიმუმ ერთი თვე ვიმკურნალებ. შემდეგ სახვევებს ავიხსნი და ძუნძულს შევუდგები“.

სავარაუდოდ, ლადო აპრილის პირველ ნახევარში თამაშსაც შეძლებს და დასუსტებულ „დინამოს“ მართლაც რომ სულზე მოუსწრებს. აქვე ამასაც დავძენთ: როგორც შევიტყვეთ, კიევის „დინამოს“ ბურდულისადმი ინტერესი არ დაუკარგავს და ქართველ ფეხბურთელს საკონტრაქტოდ ზაფხულიდან ელის. ამ დროისთვის ლადო უკვე თავისუფალი აგენტი იქნება.

„დინამოსთვის“ კიდევ ერთი სანუგეშო ცნობა ისევ მედიკოსებს უკავშირდება. ახალაიამ მოტეხილი ხელიდან თაბაშირი მოიხსნა. იგი სრულად მარტის პირველივე დღეებიდან დაიტვირთება.

**დავით ერაძე**

# მე ის ვიცი, რომ ხართ

## ესეც ჩვენი მზიური საქართველო: დინამოს ბრაზილიელი გაეყინა

*თბილისის „დინამოს“ ბრაზილიელი ახალწვეული სეზარ ჰომერო დროებით კარლოს და როჩას შეუსახლდა. თბილისის პრესტიჟული უბნის ასეთსავე სახლში.*

*ბრაზილიელი ჯერ ვერ შეჩვევია თბილისური ზამთრის ჰავას და საკმაოდ თბილ ოთახში თბილი ქურთუკით, რამდენიმე სვიტრით და თვალებამდე ჩამოფხატული ქუდით დაგვხდა. ჩემი გაკვირვებული თვალები რომ დიანახა, დამასწრო — მცივანა ვარ, ნებისმიერი სიცხის გაძლება შემიძლია, მაგრამ სიცივის არა. საერთოდ, ბრაზილიიდან ასეთ ცივ ქვეყანაში პირველად ჩამოვედი, ალბათ, მალე მივეჩვევიო.*

*თარჯიმნობას, რაღა თქმა უნდა, თანამემამულის ჩამოსვლით გახარებული და გახალისებული კარლოსი გვიწევდა*



— როგორ დაუკავშირდი „დინამოს“?

— ჩემმა მენეჯერმა მითხრა, რომ კვიპროსში მოსამზადებელ შეკრებაზე იმყოფებოდა თბილისის „დინამო“. ამ კლუბს სერიოზული მიზნები აქვსო, იმდენად სერიოზული, რომ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაც სურთო. ჩემს წინა გუნდში, „პარანა კლუბში“ მოსამზადებელი პერიოდი ოცი დღის დაწყებული მქონდა. მიუხედავად ამისა, ბევრი არც მიფიქრია, ისე დავთანხმდი ამ კლუბში გასინჯვას.

— რაიმე თუ იცოდი ქართულ ფეხბურთზე ან „დინამოზე“?

— იმდენად ცოტა, რომ ჩემი ცოდნის, უფრო სწორად, უცოდინრობის გამოაშკარავება ნამდვილად არ ღირს. ვიცოდი მხოლოდ ის, რომ თქვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა და არცთუ დიდი ხნის წინათ გათავისუფლდა. სხვათა შორის, როდესაც მე და კარლოსმა თბილისში გავიარეთ, თვალწინ წარმომიდგა ის დოკუმენტური კადრები, რომელსაც ჩვენი ტელევიზიით აჩვენებდნენ და საბჭოთა კავშირს გვაცნობდნენ. თუმც კარლოსმა მითხრა, რომ პროგრესი თანდათან აშკარაა.

— „დინამოში“ ყველაზე მეტად რა მოგეწონა?

— კლუბის სტრუქტურა. სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი, როდესაც ბაზა დავათვალიერე. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ აქ ძალიან თბილი ურთიერთობა, მეგობრული და შინაურული ატმოსფეროა.

— ახალი გუნდის სათამაშო მანერასთან შეგუება არ გაგჭირვებია?

— ბრაზილიელებთან შედარებით თქვენ მეტ აქცენტს ფიზიკურ მომზადებასა და ხისტ ორთაბრძოლებზე აკეთებთ. „პარანა კლუბთან“ ოცდღიანი მოსამზადებელი პერიოდი რომ არ გამეარა, ალბათ მეც ძალიან გამიჭირდებოდა, თუმცა საბოლოოდ გავძელი და მწვრთნელების მოწონებაც დავიმსახურე.

— შენს მიერ ნახსენებ საბჭოთა კავშირში ქართველებს პატარა ბრაზილიელებსაც უწოდებდნენ. ახლანდელ „დინამოში“ ტექნიკური მოთამაშეები ვერ ნახე?

— „დინამოში“ არიან ისეთი ფეხბურთელებიც, რომლებიც ბრაზილიაში თავისუფლად ითამაშებდნენ და ტექნიკითაც არ შერცხვებოდნენ. უბრალოდ, მე იმის თქმა მსურდა, რომ დღესდღეობით ფეხბურთი სულ სხვა მიმართულებით ვითარდება, მეტია ძალისმიერი თამაში და სირბილი, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება რომანტიზმსა და ტექნიკა-სილამაზეს.

— „დინამო“ წამყვანმა ფეხბურთელებმა დატოვეს, ეს პროცესი ალბათ შემდგომშიც გაგრძელდება. ეს კლუბი ევროპაში ტრამპლინად გეგულება?

— სიმართლე გითხრა, ჯერ მხოლოდ „დინამოზე“ ვფიქრობ. მსურს, აქ ჩემი თამაში საუკეთესო მხრივ წარმოვაჩინო, ჟურნალისტების და გულშემატკივრების მოწონება დავიმსახურო. მერე, თუ რაიმე სერიოზული წინადადება გამოჩნდება, უარს არ ვიტყვი, მით უმეტეს, თუ „დინამოს“ ხელმძღვანელობასაც არაფერი ექნება საწინააღმდეგო. როდესაც აქ მოვდიოდი, მითხრეს, კლუბს სამ წელიწადში ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა აქვს დაგეგმილიო — ეს ხომ უკვე დიდი მიღწევაა ნებისმიერი ფეხბურთელის კარიერაში.

— შენ „დინამოს“ ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის ვიტალი დარასელიას შემცვლელადაც მოიაზრები. მძიმე ხომ არ იქნება ასეთი ტვირთი?

— როდესაც მოედანზე გავდივარ, სულ სხვა კაცი ვხდები და არ მაინტერესებს, ვინ რას ფიქრობს და რა როლს მანიჭებს. ჩემთვის მთავარია, გუნდს გამოვადგე, მოვიპოვო სამი ქულა. ბურთს რომ ვილებ, პირველ რიგში საუკეთესო პოზიციაზე მყოფ თანაგუნდელს ვეძებ. ისე, როგორც მითხრეს, დარასელია შორიდანაც კარგად ურტყამდა. მგონი, ურიგოდ არც მე ვურტყამ. რაც მთავარია, წაგება საშინლად არ მიყვარს და როდესაც ჩემი გუნდი აგებს, გიჟივით დავრბივარ. ბოლო წამებამდე არ ვნებდები. თუმცა ერთხელაც გავიმეორებ, ჩემი საფეხბურთო ფილოსოფია ასეთია: მთავარია გუნდური ინტერესები!

— ზემოთ თქვი, მოედანზე აგრესიული ვხდებიო. კონფლიქტურიც ხომ არ ხარ?

— ბრაზილიელები ბუნებით მშვიდები ვართ. მოედანზე სათამაშოდ გამოვდივართ და არა საჩხუბრად. ისე, ერთი გადარეული ჩვენც გვყავდა, ედმუნდოს ვგულისხმობ.

— შენი საყვარელი ფეხბურთელი?

— ბავშვობიდან ზიკოს თაყვანისმცემელი ვარ. მასთან შეხვედრის ბედნიერებაც მქონდა.

— კლუბებში რომელს გამოარჩევ?

— ახლა „მანჩესტერის“ და „რეალის“ თამაში მხიბლავს, მაგრამ, მერწმუნეთ, ჩემი ყველაზე დიდი ოცნება „დინამოსთან“ ერთად ლიგაში თამაშია.

— „დინამოში“ კარლოსის გარდა ვისთან მოასწარი დამეგობრება?

— ექონიასთან და იაშვილთან. მას ეტყობა, რომ ძალიან მალე უძლიერესი ფორვარდი გახდება.

**დავით ერაძე**

*გუშინ მოსკოვის „სპარტაკმა“ ესპანური შეკრება დაასრულა და შინ დაბრუნდა. ნევიო სკალას გუნდს „მალიორკასთან“ უეფას თასის მატჩამდე ორი დღე დარჩა. მოსკოველებს იმედი ჰქონდათ, რომ უეფაში გასაჩივრებულ ეგორ ტიტოვის დისკვალიფიკაცია მათთვის სასურველი შედეგით მოჰყვებოდა, თუმც ასე არ მოხდა — „სპარტაკის“ ლიდერს და კაპიტანს ერთწლიანი დასვენება ძალაში დაუტოვეს...*

*მოსკოვში დაბრუნებამდე „სპარტაკი“ სეგუნდადივიზიონელ „ლევანტეს“ ამხანაგურად გაეჯიბრა და 1:1-ს დასჯერდა. ჩვენებურმა გიორგი ლომაიამ 90 წუთი დაჰყო მოედანზე და თავისიანებში საუკეთესოც იყო. მასპინძლებმა ქართველი მეკარის გატეხვა ოდენ პენალტით შეძლეს*

# ვის აირჩევს გაბუტული სკალა?

## ლომაიას სიჩუმე სხვებს ახმაურებს

ლომაიას ძირითად შემადგენლობაში გამოჩენამ, ცხადია, ეჭვი გაგვიჩინა, ნევიო სკალა „მალიორკასთან“ სწორედ ჩვენებურზე დაყრდნობას აპირებსო. მით უმეტეს, გიორგიმ ისევ დამაჯერებლად ითამაშა და თურქულ „გალათასარაისთან“ მატჩის შემდეგ მეორედ აალაპარაკა რუსი ჟურნალისტები. მათი თქმით, ლომაიამ ოთხი ურთულესი ბურთი გააუვნებლა და „სპარტაკის“ არწაგებაში ლომის წილი დაიდო. თუმც თავად ფეხბურთელი ძირითადი შემადგენლობის წევრად თავს ჯერაც არ თვლის...

— „მალიორკასთან“ კარში ვინ დადგება ჯერაც არაა გადაწყვეტილი. მწვრთნელს ამის შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამს — გვითხრა გუშინ მოსკოვში ახალჩაფრენილმა ლომაიამ.

— კი მაგრამ, ბოლო ორი მატჩია, ნევიო სკალა გენდობა. „ლევანტესთან“ სულაც 90 წუთი გათამაშა...

— ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. საქმე ისაა, რომ ჩემი კონკურენტი კოვალევსკი პოლონეთის ნაკრებში იყო გამოძახებული და მეც შანსი გამიჩნდა.

— მით უმეტეს. „სპარტაკმა“ ხომ საქართველოს ნაკრებში შენს გამოშვებაზე უარი თქვა. კოვალევსკი რატომ გაუშვეს?

— არ ვიცი. ღმერთმა ქნას, სკალა ასე ფიქრობდეს. ყოველ შემთხვევაში, ახლა მეტი არაფერი ვიცი.

— „ლევანტესთან“ შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?

— შეცდომა არ დამიშვია და კარიც რამდენჯერმე ვიხსენი. ვფიქრობ, ცუდად არ მითამაშია.

— შენი შანსიც ალბათ ეს არის...

— მგონი, მცირე ნაბიჯი მართლაც გადავდგი წინ.

— ძალიან თვითკრიტიკული ჩანხარ...

— წინასწარ თავის დამშვიდება არ მიყვარს. ჩემს საქმეს ყოველთვის წყნარად და ბეჯითად ვაკეთებ.

— ნამატჩევს სკალას თუ ესაუბრე?

— არა. ფეხბურთელებზე ნაწყენი იყო. რამდენიმემ ძალიან ცუდად ითამაშა და სკალაც საშინელ ხასიათზე იყო.

— ტრავმა ბოლომდე მოირჩინე?

— სამწუხაროდ, ფეხის ტკივილი ისევ მახსენებს თავს. საშიში არაფერია, მაგრამ ყურადღება მაინც სჭირდება.

— „მალიორკასთან“ მატჩზე რალას იტყვი?

— ძალიან ძნელი თამაში იქნება. „მალიორკას“ ყველაფერთან ერთად ერთი უპირატესობაც აქვს: ესპანეთის ჩემპიონატი კარგა ხანია გახურებულია, ჩვენ კი მხოლოდ ამხანაგური მატჩებით გავედით ფორმს.

**ქახა შალამბერიძე**



ზურაბ კურციკიძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მერვედფინალი. პირველი მატჩები. დღეს

## ბაიერნი — რეალი

მიუნხენი. „ოლიმპიაშტადიონი“

# რეკორდების მატჩი



ოლივერ კანი



დევიდ ბექემი

**თავიდან** ამბობდნენ, მიუნხენის „ბაიერნს“ შესაძლოა, მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ ბრძოლა ოლივერ კანისა და მიხაელ ბალაკის გარეშე მოუწიოსო — ერთმაც და მეორემაც შაბათს ბუნდესლიგაში „ჰამბურგის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშა. ზურგნატკენმა და ბრონქიტიანმა ჰამბურგელთა 1:0 ძლევას თვალი როგორც მაყურებლებმა ისე ადევნეს. კანმა ზურგი წინა კვირაში, სპლიტში, სანაკრებო შეხვედრაში იტკინა — გერმანელებმა ხორვატებს 2:1 მოუგეს.

„ბაიერნის“ მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი გვარწმუნებდა, რომ მეკარის გამოჯანმრთელების შანსი 50-50-ზეა, გერმანელი ექიმები ყველა ღონეს იხმარენ, რათა მან ტკივილს სძლიოს და ითამაშოს. და აი, ბოლო მონაცემებით, ხმები კანის ზურგის სერიოზული ტრავმის შესახებ გადაჭარბებულია, ცნობილმა გოლკიპერმა კვირიდან ვარჯიში დაიწყო და დღეს საღამოს მადრიდელი ვარსკვლავების შეტევებს თუ კონტრშეტევებს აღუდგება.

რაც შეეხება გამთამაშებელ ბალაკს, მასზე მიუნხენელთა ექიმმა ვოლფგანგ პეტერმა ასე განაცხადა:

„სამედიცინო თვალსაზრისით მას არაფერი სჭირს“.

ერთი სიტყვით, თუ ბალაკი ვერ ითამაშებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჰიცფელდი გადაწყვეტს ასე.

მადრიდელთა ნახევარმცველი, ინგლისის ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექემი კი დღევანდელი მატჩის შესახებ გუშინ ასე მსჯელობდა:

„როგორ ვთამაშობთ ესპანეთის ჩემპიონატში და რომელ ადგილზე ვართ იქ, ჩემპიონთა ლიგასთან საერთოდ არაფერ შუაშია. ჩვენსა და „ბაიერნს“ შორის შესაძლოა ფავორიტებად ჩვენ გვთვლიდნენ, მაგრამ ეს სხვები, თავად ჩვენ კი ასე არ ვფიქრობთ. მიუნხენელებს ნიჭიერი ფეხბურთელები ჰყავთ და ერთად ისინი ძალიან სერიოზულ ძალას წარმოადგენენ“.

„რეალი“ ესპანეთის ჩემპიონატში ლიდერობს, მდევარს ხუთი ქულით უსწრებს და ბოლო ტურშიც ჩინებულად აჯობა „ესპანიოლს“, 4:2. ამ დროს კი „ბაიერნი“ ბუნდესლიგის ლიდერს 7 ქულით ჩამორჩება.

რაც შეეხება ბექემს, ეს სწორედ ის ფეხბურთელი გახლავთ, მიუნხენელთათვის ასე მწარედ მოსაგონებელ 1999 წლის ლიგის ფინალში რომ ითამაშა და ბოლო წამებში გამოგლეჯილი გამარჯვებით (2:1) სიხარულისგან ცას ეწია.

ბექემმა დასძინა: „მატჩები მიუნხენის „ბაიერნთან“ ჩემთვის იმიტომ არის საგანგებოდ მნიშვნელოვანი, რომ ჯერ ერთი, ის ევროპის უდიდეს გუნდთაგანია და მეორეც, მათი ძლევა 99-ში ჩემი კარიერის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა გაბრწყინებაა. ვიმედოვნებ, რომ ამ გუნდთან პაექრობაში კიდევ ერთ მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწევ“.

ერთი სიტყვით, დღეს ჩემპიონთა ლიგაში „ბაიერნისა“ და „რეალის“ მეცხრე შეხვედრა ჩატარდება და დამყარდება „ერთმანეთზე გადაკიდებულ გუნდთა“ რეკორდი: რვა-რვაჯერ აქვთ ნათამაშევი „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „იუვენტუსს“, „გალათასარაისა“ და „ბარსელონას“, იმავ „რეალსა“ და „პორტუს“. ხოლო როდესაც ორი კვირის შემდეგ ისინი საპასუხო მატჩსაც მოამთავრებენ, დამყარდება კიდევ ერთი საყოველთაო ევრორეკორდი — მათ ერთმანეთში 16 პაექრობა დაუგროვდებათ, რაც ისევ და ისევ „რეალისა“ და „ინტერის“ შედეგზე მეტი გამოვა. გასულ 14 შეხვედრაში 9-ჯერ „ბაიერნმა“ იმარჯვა, 4-ჯერ „რეალმა“, ერთხელ კი მეტოქენი ფრედ გაეყარნენ ერთმანეთს. სტატისტიკიდან აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს „რეალი“ ჩემპიონთა ლიგაში მე-100 მატჩს თამაშობს.

მადრიდელთა მწვრთნელს კარლუშ კეიროშს სერიოზულად დაშავებული არავინ ჰყავს, ანუ შაბათს, „ესპანიოლთან“ შეხვედრისგან განსხვავებით „რეალში“ ბექემიც ითამაშებს და ლუიშ ფიგუც.

**პაპუნა ძიძია**

### სავარაუდო შემადგენლობები

**ბაიერნი**

კანი (ან რენსინგი), სანიოლი, რ. კოვაჩი, კუფური, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი, ზე რობერტო, ბალაკი, მაკაი, პიზარო

**რეალი**

კასილიასი, სალგადო, ელგერა, პავონი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექემი, გუტი, ზიდანი, რაული, რონალდო

## ლოკომოტივი — მონაკო

მოსკოვი. „ლოკომოტივი“

# სიომინი შარშანდელით იმუქრება



დიდიე დეშანი

**მოსკოვის** „ლოკომოტივი“ დღეს „მონაკოს“ უმასპინძლებს. საფრანგეთში ჩემპიონატის მეორე წრე გახურებულია. დიდიე დეშანის ბიჭები მეტ-ნაკლებად კარგ ფორმაში არიან და ქვეყნის პირველობაში კიდეც ლიდერობენ. გასულ პარასკევს მონაკოელებმა მაჩანჩალა „მონპელიე“ იოლად დაამარცხეს. ემანუელ ადებაიორმა სამი გოლი გაიტანა და მონაკოელთა მწვრთნელს თვალში ჩაუვარდა.

აქამდე (ჩემპიონატის დაწყებიდან) დეშანის მთავარმეგოლეები დადო პრსო და შაბანი ნონდა იყვნენ, მაგრამ ეს უკანასკნელი გუნდს ტრავმის გამო მალევე გამოაკლდა. ხორვატმა პრსომ და პატარა ფრანგმა ლუდოვიკ ჟიულიმ ლიდერობა იტვირთეს, „მონაკო“ მხრებით ათრიეს, რასაც წარმატება და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლა მოჰყვა.

დიდიე დეშანის გუნდი ზოგადად შეტევის მოყვარულია, მაგრამ ფრანგებს პირველი მატჩი მოსკოვში აქვთ. ამიტომ გამორიცხული არ არის, დაცვაში ჩასხდნენ და მეტოქეს კონტრშეტევებზე ჩაუსაფრდნენ.

„ლოკომოტივი“ თავისი სათამაშო სტილით მკაცრი დაცვის მოყვარულია. გუნდმა რუსეთის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ რამდენიმე საწვრთნელო შეკრება მოაწყო და ბოლოს მოსკოვს დაბრუნდა. რკინიგზელებმა მოსკოვის „სპარტაკის“ და „მარსელის“ ყოფილი თავდამსხმელი დმიტრი სიჩევი დაიმატეს. მან საფრანგეთში სეზონზე მეტი გაატარა და „მონაკოს“ კარგად იცნობს: „მონაკოს“ დასამარცხებლად შინაური და საგარეო ტაქტიკის შერჩევა არაფრად გვარგებს. ორივე მატჩში ერთნაირად ძლიერად უნდა ვითამაშოთ“.

„ლოკომოტივის“ მწვრთნელი იური სიომინი მატჩის წინა პრესკონფერენციაზე წესისამებრ ფეხბურთელთან ერთად ცხადდება, მაგრამ ამჯერად ეულად მივიდა და თქვა, რომ ბიჭები დაღლილნი არიან და მათ მაგივრად ილაპარაკებდა. „ზუსტად ვერ გეტყვით, როგორ ფორმაშია გუნდი. „ლოკომოტივმა“ ზამთარში სერიოზულ მეტოქესთან ბოლო მატჩი 10 დეკემბერს გამართა. რა თქმა უნდა, სრული დატვირთვით ვვარჯიშობდით, თუმც ვარჯიში თამაშს ვერ შეედრება. გუნდში შესანიშნავი განწყობაა, ის ფეხბურთელები, რომლებიც საჩემპიონთალიგო განაცხადში შევიყვანე, თავდაუზოგავად მუშაობენ. „ლოკომოტივმა“ შინ 0:0 თუ ითამაშა, მაშინ სტუმრად 1:1, 2:2 და ნებისმიერი გოლიანი ფრე სასურველი იქნება. ვფიქრობ, გუნდმა უნდა აჩვენოს ის ფეხბურთი, რომელსაც გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერში თამაშობდა. გარდა ამისა, გულშემატკივრების მხარდაჭერაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.“

**ვაჟა ხუციშვილი**



დმიტრი სიჩოვი

### სავარაუდო შემადგენლობები

**ლოკომოტივი**

ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, პაშინინი, ლეკხეტო, ევსეევი, ასათიანი, მამინოვი, ლოსკოვი, ხოხლოვი, აშვეთია, სიჩოვი

**მონაკო**

რომა, იბარა, ევრა, გივე, სკილაჩი, პლასილი, ბერნარდი, როტენი, ადებაიორი, მორიენტესი, პრსო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მერვედფინალი. პირველი მატჩები. დღეს

## სელტა — არსენალი

ვიგო. „ესტადიო ბალაიდოსი"

# მზვერავი რეიესის ინფორმაციით...



პატრიკ ვიეირა „არსენალს" ვერ დაეხმარება

**დღეს** „ესტადიო ბალაიდოსზე" ტრავმებით გატანჯული „სელტა" არსენ ვენგერის „არსენალს" დაუხვდება. რადომირ ანტიჩის სადამრიგებლო გუნდის მდგომარეობა ამ საპასუხისმგებლო პირველი რაუნდის წინ მეტად მძიმეა. ძირითადი გალისიური ბირთვი სავარაუდოდ ინგლისელთა სიჩაუქეს „ბალაიდოსის" ტრიბუნებიდან მიადევნებს თვალს, რადგან ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტს მერვედფინალურმა მატჩმა რთულ ტრავმათა პერიოდში მოუსწრო.

„სელტას" ლაზარეთის ათვლა ხესუს მორა ხესულით დავიწყოთ. გალისიელთა სევილიელ ნახევარმცველს მარჯვენა ფეხი აწუხებს და სიტყვა სავარაუდო დანაკლისიც ამ შემთხვევაში მართებული არ გახლავთ — ხესულის „მეთოფეებთან" პირველი პაემნის ალნიშნვა ვიგოელ ინჩასთა შორის მოუწევს. ხესულიმ გასულ შაბათს სცადა „მალაგას" წინააღმდეგ ბურთაობა, მაგრამ ტრავმა გაურთულდა და ფეხბურთს სამი კვირით გამოემშვიდობა. ტრავმას უჩივის არგენტინელი გუსტავო ლოპესიც. მისი უდიდესი სურვილის მიუხედავად, დღევანდელ თამაშში პატაგონიელის მონაწილეობა ფრიად საეჭვოა. ტრავმის გამო არ იქნება ნახევარმცველი ევერტონ ჯოვანელაც, რაც შეეხება ანტიჩის თანამემამულე ილიჩს — მას ბელგრადის „პარტიზანის" შემადგენლობაში საამსეზონო ლიგაში უთამაშია და ამიტომ უეფას წესდებით, „არსენალის" შეთვალიერება მხოლოდ ტრიბუნიდან მოუწევს. ერთი სიტყვით, „არსენალს" (რომლის ერთადერთ დანაკლისიც ფრანგი კაპიტანი პატრიკ ვიეირაა) ესპანელების განადგურებისთვის სრული საფუძველი გააჩნია. „ურთულესი შეხვედრა გველის. სამწუხაროდ, დაშავებული ფეხბურთელები არ გვეყოლებიან და ლონდონელებს სრული ძალებით ვერ შევეჭიდებით, რაც ალბათ მატჩის საბოლოო შედეგზე გავლენას იქონიებს" — დიპლომატიურ პროგნოზებს აკეთებს რადომირ ანტიჩი.



ხოსე ანტონიო რეიესი და არსენ ვენგერი

პატრიკ ვიეირას მუხლმტკივნობაში კი ჩელსელი ჯონ ტერია დამნაშავე — პრემიერლიგის შაბათის მატჩში ის მუხლი დაუზიანდა, რომელმაც ფრანგი მობურთალი გასულ სეზონში გააწამა. ლონდონელთა მთავარი იმედი ტიერი ანრისთან ერთად ექსსევილიელი ხოსე ანტონიო რეიესია. „ჩინებული მობურთალია, ინგლისურ გარემოს იოლად შეეგუა და ნაცნობ „ბალაიდოსსაც" იმედია, მშვენივრად მოერგება" — აცხადებს რეიესის გარჯით კმაყოფილი არსენ ვენგერი. რეიესი „ჩინებულ ფეხბურთელობასთან" ერთად თურმე მზვერავის კარგი თვალითაც დაიკვეხნის, რამეთუ ახლანდელი დამრიგებლისთვის „სელტას" თამაშის სტილი დაწვრილებით მოუხსენებია. „მე და ხოსემ მრავალჯერ ვნახეთ მატჩები ვიგოელთა მონაწილეობით, „სელტა" — „მალაგას" საპრიმერო დაპირისპირებაზეც ვისაუბრეთ, ამიტომაც ესპანელთა შესახებ თითქმის ყველაფერი ვიცით" — აღიარებს ფრანგი მწვრთნელი.

**ლადო ხომერიკი**

### სავარაუდო შემადგენლობები

**სელტა**

კავალიერო, ველასკო, კასერესი, ბერიზო, სილვინიო, ხოსე იგნასიო, მოსტოვოი, ხუანფრანი, ლუქსენი, მილოშევიჩი, ხესული

**არსენალი**

ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, კლიჩი, ლიუნგბერგი, ედუ, პარლოუ, პირესი, ანრი, ბერხკამპი

## სპარტა — მილანი

პრაღა. „ტოიოტა არენა"

# მილანს სპარტა ეინტერება



ალესანდრო ნესტა

**პრაღის** „სპარტა" „მილანს" ევროთასებზე აქამდე ოთხჯერ შეხვდა და ჩეხებმა იტალიელებს ერთი გოლიც ვერ გაუტანეს. იტალიელებს კი არა, „სპარტამ" ჩეხეთის განახლებულ ჩემპიონატში „ბანიკის" კარი ვერ დალაშქრა და, როგორც ჩანს, შეტევაში ძალიან მოიკოჭლებენ.

სპარტელთა ფორმაზე ვინძლო, მხოლოდ „ბანიკთან" შეხვედრით ვიმსჯელოთ. რაკილა პრალელებმა საშუალო გუნდის ძლევა ვერ შეძლეს, ლოგიკურია, რომ მათ სერია A-ს ლიდერთან ჭიდილი გაუჭირდებათ, თუმც აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიდ გუნდებთან „სპარტას" დონის კლუბები ყოველთვის ორმაგად მონდომებულნი თამაშობენ.

ჩემპიონთა თასის მფლობელმა კი გასულ უქმეებზე „ინტერი" დრამატულ მატჩში დაამარცხა. „შავწითლებს" მაშინ ალესანდრო ნესტა არ ჰყავდათ და გამორიცხული არაა, ცენტრალურმა მცველმა პრალული მატჩიც გამოტოვოს, რადგან ჯერჯერობით ტრავმირებულია. აღსანიშნავია ერთიც: „მილანს" ევროთასებზე გამართული ბოლო ოთხ შეხვედრაში სამი ფრე და ერთი მარცხი მოუგროვებია და ნავსის გატეხვას ჩეხეთის დედაქალაქში შეეცდება. მთლიანობაში ჩეხურ გუნდებთან სტუმრად „შავწითლებს" სამჯერ უთამაშიათ და შედეგებიც თანაბრად გაუნაწილებიათ — ერთი მოგება, ერთი ფრე და ერთი მარცხი. ეს ნიშნავს, რომ „მილანს" დღესაც გვარიანი ბრძოლა ელის. „სპარტამ" ერთი იტალიური კლუბი, რომას „ლაციო" ჩემპიონთა ლიგიდან უკვე დაიფრინა და ახლა რომაელთა თანამემამულეებსაც დაეჯაჯგურება.



კარლო ანჩელოტი

„ინტერის" დამარცხებამ კარლო ანჩელოტი, ცხადია, მოაფერინა და პრაღაში გაფრენამდე ჟურნალისტებთან ენაწყლიანობდა: „ჩვენ სერია A-ში და ევროპაში წარმატებულად ვთამაშობთ, მაგრამ სეზონი ჯერ არ დასრულებულა. დღეს ჩემპიონთა ლიგა განახლდება და ეს ტურნირი ძალიან გვაღელვებს. „მილანი" ბრწყინვალე ფორმაშია. ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები ჯანზე არიან. მერვედფინალიდან ყველაზე რთული გზა იწყება. შეცდომის უფლება არ გვაქვს და საბრძოლველად მზად ვართ. ჩვენ ჩემპიონთა თასის ზედიზედ მეორედ მოგება გვსურს და საიმისოდ ვიომებთ. „სპარტა" ძალიან კარგი გუნდია. ჩეხებმა „ლაციო" და „ბეშიქთაში" ჯგუფში ჩატოვეს, ამიტომ მათთან მოდუნება არ ეგების. სიცივე და თოვლი პრალელებისთვის უპირატესობად ვერ იქცევა, რადგან „მილანის" სურვილი — ითამაშოს მაღალი დონის ფეხბურთი — გადამწყვეტი იქნება".

**ვაჟა ხუციშვილი**

### სავარაუდო შემადგენლობები

**სპარტა**

ბლაჟეკი, ლაბანტი, ჰუბშმანი, პერგლი, იოჰანა, პობორსკი, ზელენკა, მიხალიკი, ვორიშეკი, გლუშკევიჩი, სტაინერი

**მილანი**

დიდა, კაფუ, კოსტაკურტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ინძაგი

## იტალია

**სერია A. XXII ტური**

**ბრეშა 1:2 ლეჩე**

0:1 ჩევანტონი (12), 0:2 კასეტი (87), 1:2 ბაჯო (90)

ბრეშა: ალიარდი, ჟ. მარტინესი (მანიერო 90), დი ბიაჯო, დაინელი, პ. კასტელინი, ბაკინი (ჯ. კოლუჩი 51), ბრიგი, მატუზალემი, მაური (დელ ნერო 56), რ. ბაჯო, კარაჩოლო

მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი

ლეჩე: სიჩინიანო, სივილია, ბოვო, სტოვინი, ტონეტო, კასეტი, ბოლანო (მარინელო 2), ლედესმა, დ. ფრანჩესკინი, ჩევანტონი (ვუჩინიჩი 56), ბოჟინოვი (კონანი 65)

მწვრთნელი: დელიო როსი

გაფრთხილება: მატუზალემი, ბრიგი, სიჩინიანო

მსაჯი: დატილო

13 000 მაყურებელი

# ოდა და ხუთი მოკლე ამბავი



ანდრეა კარაჩოლოს კრისტიან ლედესმამ ბურთი არ დაანება

„ბრეშამ“ წააგო, მაგრამ რობერტო ბაჯომ მაინც გაიტანა გოლი. ერთი სიტყვით, თუ ვინმეს ეს გუნდი ბაჯოს ხათრით ესიმპათიურება, წესით უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო.

საზოგადოდ, როგორც ჩანს, „ბრეშას“ წინაალმდეგ თამაშის დროს მთავარი მაინც ამ 36 წლის კაცის შებოჭვაა, ყოველ შემთხვევაში, ლეჩელებს თავიანთი მოქმედების ერთ-ერთ ცენტრალურ იდეად სწორედ ეს ჰქონდათ წარმოჩენილი. როგორც კი ბაჯო ბურთს მიიღებდა მყისვე, შემორტყმებოდა ორი მოწინააღმდეგე და თან ისე მჭიდროდ, რომ შეუძლებელი იყო უნებურად ყურადღება არ მიგექციათ.

და საბოლოოდ, მსაჯის წარმატებულ წუთებში, როდესაც ანგარიში უკვე 2:0 იყო „ლეჩეს“ სასარგებლოდ, ბებერმა ვარსკვლავმა მაინც გაიტანა — ფრანჩელინო მატუზალემის პასით მცველებს დაუსხლტა და ცივად შეაგდო ბურთი ბადეში.

ამით „ოდა რობერტო ბაჯოს“, რომელსაც არ დავმალავთ და სიამოვნებით ვასრულებთ, რათა სხვა მომენტებზე შევაჩეროთ ყურადღება. თვალშისაცემ ამბავთაგანი ლეჩელი ხორხე ბოლანოს მეორე წუთზევე მიღებული ტრავმა იყო. ამ ტრავმის გამო კუნთგაჭიმულ მოთამაშეს ოფლის გამოდენის გარეშე მოუხდა მოედნის დატოვება. მეორე, მე-12 წუთზე ხავიერ ჩევანტონის დიდებულად ჩახვეული საჯარიმო გახლდათ. მესამე, მეორე ტაიმის დასაწყისში იმავე ჩევანტონის დარტყმული ბურთის ძელთან გახახუნება. მეოთხე „ბრეშას“ მომენტი, როდესაც საჯარიმოდან დარტყმული ლეჩელებმა ხერხიანად ვერ მოიგერიეს, მაგრამ ვერც კარაჩოლომ დაჰმატა ხერხიანად და მეხუთე, „ლეჩეს“ მეორე გოლი. კრისტიან ლედესმას ჩაწოდებულ საჯარიმოს მარკო კასეტიმ ფეხი მიჰკრა და ბადეში შეაგდო.

**პაპუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 22 | 17 | 4 | 1 | 43:13 | 55 |
| რომა | 22 | 15 | 5 | 2 | 47:9 | 50 |
| იუვენტუსი | 22 | 15 | 4 | 3 | 44:25 | 49 |
| ლაციო | 22 | 12 | 4 | 6 | 33:22 | 40 |
| პარმა | 22 | 11 | 6 | 5 | 32:26 | 39 |
| ინტერი | 22 | 10 | 6 | 6 | 38:20 | 36 |
| უდინეზე | 22 | 10 | 6 | 6 | 28:23 | 36 |
| სამპდორია | 22 | 7 | 9 | 6 | 27:26 | 30 |
| კიევო | 22 | 8 | 5 | 9 | 25:26 | 29 |
| ბოლონია | 22 | 6 | 7 | 9 | 23:29 | 25 |
| ბრეშა | 22 | 5 | 9 | 8 | 30:35 | 24 |
| მოდენა | 22 | 5 | 8 | 9 | 18:28 | 23 |
| ლეჩე | 22 | 6 | 4 | 12 | 27:39 | 22 |
| სიენა | 22 | 5 | 6 | 11 | 28:36 | 21 |
| რეჯინა | 22 | 4 | 9 | 9 | 19:33 | 21 |
| ემპოლი | 22 | 4 | 5 | 13 | 16:39 | 17 |
| პერუჯა | 22 | 1 | 11 | 10 | 25:40 | 14 |
| ანკონა | 22 | 0 | 6 | 16 | 8:42 | 6 |

# არ დაუჯერეს და წავიდა
## ბენიტო ფლორომ ვილიარეალი სტამბოლში ეულად გაუშვა



**ესპანურ** „ვილიარეალს“ სეზონის დასაწყისში ყველაფერი კარგად აეწყო. გუნდმა „ლიონის“ კაპიტანყოფილი მეგოლე სონი ანდერსონი და „ბარსელონას“ არგენტინელი ხუან რომან რიკელმე გადაიბირა. „ვილიარეალმა“ ინტერტოტოდან უეფას თასზე გააღწია და ხვალ „გალათასარაის“ სტამბოლში შეხვდება. ესპანელებმა ერთი კვირის წინ პრიმერადივიზიონში შთამბეჭდავი გამარჯვება (6:3) მოიპოვეს. თუმც კი გუშინწინ სარაგოსაში დამარცხდნენ. პრიმერადივიზიონში გუნდი საკმაოდ მაღალ ადგილზეა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შარშან სეგუნდადივიზიონში გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატი იყო.

ყოველივე ამის ფონზე „ვილიარეალის“ მწვრთნელმა ბენიტო ფლორომ პოსტის დატოვება გადაწყვიტა და გუშინ წასვლის შესახებ განაცხადა. მწვრთნელისეული მიზეზი ასეთია: „როცა მწვრთნელი დაინახავს, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ფეხბურთელები დისციპლინას აგდებით ეკიდებიან, თავად კი მოთამაშეების კალაპოტში ჩასმა არ ძალუძს, უნდა წავიდეს.“

„ვილიარეალს“ დროებით ბენიტო ფლოროს თანაშემწე ფრანსისკო გარსია გაწვრთნის და გუნდს სტამბოლში ის გაუძღვება.

**მაჟა ხუციშვილი**

## ესპანეთი

**პრიმერადივიზიონი. XXV ტური**

**ბილბაო 1:1 ბეტისი**

0:1 ვარელა (52), 1:1 ესკერო (56)

ბილბაო: არანსუბია, ა. კარანკა, ლუის პრიეტო, ორბაისი, იესტე (ხონანი 64), ხავი გონსალესი, დელ ორნო, ტიკო, ესკერო, ხ. ეჩებერია, ურსაისი

მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე

ბეტისი: პრატსი, მინგო, ხუანიტო, რივასი, ვარელა, დენილსონი (ფერნანდო 79), კაპი, იტო, ხოაკინი (არზუ 89), ბენხამინი, ალფონსო (ისმაელი 69)

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

გაფრთხილება: იესტე, ბენხამინი, დელ ორნო, ტიკო, ურსაისი, ხოაკინი

მსაჯი: კარმონა მენდესი

36 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 25 | 17 | 5 | 3 | 50:27 | 56 |
| ვალენსია | 25 | 15 | 6 | 4 | 46:18 | 51 |
| დეპორტივო | 25 | 15 | 5 | 5 | 41:17 | 50 |
| ბარსელონა | 25 | 12 | 7 | 6 | 39:28 | 43 |
| ბილბაო | 25 | 10 | 8 | 7 | 32:29 | 38 |
| ატლეტიკო | 25 | 10 | 7 | 8 | 31:31 | 37 |
| ბეტისი | 25 | 9 | 9 | 7 | 33:27 | 36 |
| ვილიარეალი | 25 | 10 | 6 | 9 | 36:34 | 36 |
| ოსასუნა | 25 | 8 | 11 | 6 | 25:22 | 35 |
| სევილია | 25 | 9 | 7 | 9 | 35:27 | 34 |
| რასინგი | 25 | 9 | 6 | 10 | 33:38 | 33 |
| მალაგა | 25 | 10 | 2 | 13 | 35:40 | 32 |
| სოსიედადი | 25 | 8 | 7 | 10 | 30:36 | 31 |
| ვალიადოლიდი | 25 | 7 | 8 | 10 | 28:36 | 29 |
| მალიორკა | 25 | 8 | 5 | 12 | 29:43 | 29 |
| სელტა | 25 | 6 | 9 | 10 | 34:43 | 27 |
| სარაგოსა | 25 | 7 | 5 | 13 | 27:36 | 26 |
| ალბასეტე | 25 | 7 | 5 | 13 | 24:34 | 26 |
| ესპანიოლი | 25 | 6 | 2 | 17 | 24:47 | 20 |
| მურსია | 25 | 2 | 10 | 13 | 22:41 | 16 |

# ბილარდო, ბოღმა და საეჭვო შამპანური

მსოფლიო ფეხბურთში ხშირად ფრიად უცნაური ამბები ხდება. თავად განსაჯეთ, არგენტინელ კარლოს ბილარდოს, ძველ ჩაუქ მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელსა და „ესტუდიანტესის“ ამჟამინდელიც დამრიგებელს პოლიცია არც მეტი, არც ნაკლები, „რივერ პლეიტთან“ წაგებული მატჩის მერე საზოგადოებრივ ადგილზე ლოთობისთვის დაპატიმრებას უპირებდა...

„ვერაფერი გამიგია, ზრდასრულმა ადამიანმა შამპანურისა და მინერალური წყლის ბოთლები ერთმანეთისგან როგორ ვერ უნდა განასხვავოს. და რა უბედურებაა კიდევ ეს „ბოთლის შიგთავსის შემოწმების“ სამდღიანი ვადით გაჯანჯლება? პოლიციის მხრიდან ეს აღმაშფოთებელი საქციელია და სხვა არაფერი“ — მძინვარებდა ბილარდო გუშინ სამხრეთამერიკელ ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

საქმე ის გახლავთ, რომ არგენტინულ სტადიონზე ყოველგვარი ალკოჰოლური სასმელის მიღება სასტიკად აკრძალულია და თვალფხიზელი წესრიგის დამცველნიც სტუმართა მწვრთნელს მაშინ მიუხდნენ, როცა იგი (ამ უკანასკნელთა მტკიცებით) ტაიმთაშორისის დროს შამპანურის ყლურწვით თავს ირთობდა. „ესტუდიანტესის“ შტაბში ამ უადგილო ვიზიტს რაც მოჰყვებოდა ბევრი ფიქრი არ სჭირდება. მოკლედ, დიდი სკანდალიც უმალ გამოცხვა — ბილარდოს თანაშემწეები თუ შეგირდები შამპანურზე მონადირე ძალოვანებს უშვერი ლანძღვა-გინებით შემოეხვივნენ და „ელ მაესტროსთან“ მიახლოების უფლება არ მისცეს. საბოლოოდ, როგორც ზემოთთქმულიდან უკვე უწყით, „ბოჰემური“ საქმის გარჩევა ზეგისთვის გადაიდო და პოლიციის სიმართლე თუ დამტკიცდა, სენიორ შფოთისთავ კარლოსს გვარიან ჯარიმას შეაწერენ. ისე, ჩვენში დარჩეს და EL MAESTRO ავადხსენებულ ბოთლში ალბათ დარდებს ახრჩობდა — მისმა „ესტუდიანტესმა“ მასპინძელ „რივერთან“ ხომ 0:3 წააგო...

**ლადო ხომერიკი**




რას სვამდა კარლოს ბილარდო, ამას ახლა პოლიცია იკვლევს

## მექსიკა

**კლაუსურა. VI ტური**

ტოლუკა — ტიგრესი 3:2; ვერაკრუსი — სანტოს ლაგუნა 2:1; კრუზ ასული — ატლანტე 1:3; მონტერეი — ატლასი 1:1; გვადალახარა — კერეტარო 2:0; ნეკაქსა — მორელია 2:1; უნამი — ხაგუარესი 0:1; ირაპუატო — ამერიკა 2:1; პუებლა — პაჩუკა 3:0; ტეკოსი — სან ლუისი 1:2

## არგენტინა

**კლაუსურა. II ტური**

როსარიო — ბოკა ხუნიორსი 1:2; სან ლორენსო — რასინგი 0:4; კოლონი — ლანუსი 3:2; რივერ პლეიტი — ესტუდიანტესი 3:0; არსენალი — ატლეტიკო რაფაელა 3:2; ოლიმპო — ტალიერესი 1:4; კილმესი — ნუევა ჩიკაგო 1:1; ხიმნასია — ჩაკარიტა 6:1; ინდეპენდიენტე — ოლდ ბოიზი 1:1; ბანფილდი — ველეს სარსფილდი 1:2

# კარლტონ კოული მხეცია
## შერონს გარდნერთან უნდოდა





*სექსმანიაკმა კარლტონ კოულმა, ვინც ლონდონის „ჩელსის“ ფორვარდია, ისევ სასირცხვილო საქმე ჩაიდინა. ამ რამდენიმე თვის წინ კოული ერთ-ერთი იმათგანი იყო, „გროსვენორ ჰაუსში“ 17 წლის გოგონა რომ შემოებახა, ახლა კი 18 წლის გოგოს გაუპატიურებაში ედება ბრალი. ამ ბოლო საქმეში მისი ამფსონი ტოტენჰემელი ენტონი გარდნერი და რამდენიმე ძმაბიჭი იყვნენ.*

*თუმცა რაღა მესამე პირში ვყვებით, სექს-მსხვერპლს, ბანკში კლერკად მომუშავე შერონ მილერის მონათხრობს მივუგდოთ ყური.*

— „ფეისისის“ ნაითკლუბში ვიყავი. ეს კლუბი ილფორდშია, ესექსის საგრაფოში. ორი მეგობარი მახლდა, რეპერი კაი და უახლესი დაქალი კლერი. კლუბში ვიღაც ბიჭები გავიცანით. ბევრნი იყვნენ, ფეხბურთელები. ჩვენს მიმართ განსაკუთრებული ყურადღება ორმა გამოიჩინა, კარლტონ კოულმა და ენტონი გარდნერმა.

კარგად გავერთეთ. სიმართლე გითხრათ, წინააღმდეგი არ ვიყავი, გარდნერთან მთელი ღამეც გამეტარებინა. მერე გარდნერმა შემოგვთავაზა, ჩემთან წავიდეთ, ცოტა დავლიოთო. ეს ცოტა დალევა ვიცოდი რითაც დამთავრდებოდა, მაგრამ უარი არ მითქვამს.

გარეთ ყველანი ერთად გამოვედით. ისე მოხდა, რომ მე კოულის მანქანაში ჩამსვეს კიდევ ორ ტიპთან ერთად, კაი, კლერი და ორი ბიჭი გარდნერს ჩაუსხდნენ.

მანქანაში რომ ჩავჯექით, კოულმა მკითხა, თუ იცი, ამასწინათ ბიჭებმა ერთი გოგო რომ გავბახეთ და ხმაური ატყდაო. ამის თაობაზე მართლა არაფერი გამეგონა, კოულმა კი მითხრა, შენც იგივე უნდა გიქნათო. რა უნდა მექნა? უკვე მანქანაში ვიჯექი და ვერ გავიქცეოდი, თან მაინც მეგონა, რომ ხუმრობდა.

კოულმა გზას გადაუხვია და გარდნერის ნაცვლად თავის სახლში წამიყვანა, ელთჰემში. სახლში რომ შევედით, კოულმა საძინებელში გამიყვანა და კოცნა დამიწყო. წინააღმდეგობა არ გამიწევია, ცოტა ხანში მისი ძმაკაცებიც შემოლაგდნენ და... ბოლოს სამივემ ორალური სექსით დამიმთავრა.

თავს საშინლად შეურაცხყოფილად ვგრძნობდი. მათთვის ადამიანი კი არა, ხორცის ნაჭერი ვიყავი.

გარეთ გამოვედი და ტაქსი გავაჩერე, წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. გარდნერთან წასვლა გადავწყვიტე, სადაც კლერი უნდა ყოფილიყო.

მივედი, კლერი იქ არ დამხვდა, გარდნერი და მისი ძმაკაცები იქ იყვნენ. ჩემი მეგობარი კაიც მათთან იყო. რომ დამინახეს, ცხადია, მაშინვე მიხვდნენ, რაც შემემთხვა. გარდნერმა საძინებელში გამიყვანა და მანაც მიხმარა. მერე დანარჩენები შემოლაგდნენ, მათ შორის კაიც. ოთხივემ ორალურად მიქნა.

სახლში რომ მივედი, სიმწრისაგან ვყვიროდი. ხალხი იტყვის, რომ სულელი ვარ. ვიცი, მაგრამ თავმოყვარეობა მაქვს. არაფერს შევარჩენ. მაგ მხეცებს ჰგონიათ ყველაფრის უფლება აქვთ. მაგასაც ვანახებ.

**ქოტე ქექელია**

### ფეხბურთის რუკასთან

**იტალიურ** პრესაში კვლავ ვრცელდება ინფორმაცია იტალიელ კრისტიან ვიერისა და ესპანური „ბარსელონას“ ფარულ ურთიერთობებზე. იქაური ჟურნალ-გაზეთების ცნობით, კატალონიური კლუბის სპორტული დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი და ვიცე-პრეზიდენტი სანდრო როსელი უკვე მილანშიც ჩასულან. როგორც ამბობენ, „ინტერში“ ადრიანოს გადასვლის შემდეგ „შავ-ლურჯები“ ვიერის იოლად შეელევიან, თუმც უმთავრეს დაბრკოლებად შესაძლოა ფორვარდის მაღალი ხელფასი იქცეს: მილანურ კლუბში იგი წელიწადში 6 მილიონ ევროს იღებს.

**ესპანური** „ბარსელონას“ ცენტრალურმა მცველმა რაფაელ მარკესმა მცირე ტრავმა მიიღო. მექსიკელი გასულ უქმეებზე „ვალენსიასთან“ 1:0 მოგებულ მატჩში დაშავდა. ექიმების თქმით, „ბარსას“ 2-3 კვირა მარკესის გარეშე მოუწევს თამაში.

**ინგლისის** ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექემი სულ მალე ალბათ გიდის როლშიც მოგვევლინება. როგორც იცით, ინგლისელი აზიაში ძალიან პოპულარულია. ჰოდა, რამდენიმე ესპანურ ტურისტულ სააგენტოს გადაუწყვეტია, მისი საშუალებით ჯიბე გაისქელოს. ბუნებრივია, წაგებაში არც ბექემი დარჩება, იგი დაახლოებით 1 მილიონ ევროს მიიღებს. ბექემს კოსტა დელ სოლის ნაპირებზე განლაგებულ კურორტებზე მოუწევს აზიელი სტუმრების გასეირნება. ტურისტულ სააგენტოებს სულაც არ აბრკოლებთ ის, რომ მათი გიდი ინგლისელი იქნება. საინტერესოა, რომ თავდაპირველად ამ საქმიანობას ცნობილ ესპანელ მსახიობ ანტონიო ბანდერასს სთავაზობდნენ, მაგრამ მან უარი თქვა.

**იტალიური** „რომას“ თავკაცმა ფაბიო კაპელომ კიდევ ერთხელ გამოთქვა ინგლისში მუშაობის სურვილი. ლონდონური „ტოტენჰემი“ ახალი სეზონისთვის სერიოზულად გაძლიერებას გეგმავს და მაღალი დონის სპეციალისტსაც ამიტომ ეძებს. „ისეთ ჩემპიონატში მსურს მუშაობა, რომელსაც კარგად არ ვიცნობ. ასეთად ინგლისი მიმაჩნია და მეც სწორედ იქ მინდა ძალების მოსინჯვა. ძალიან მომწონს არსენ ვენგერის „არსენალი“ და „ჩელსი“, ამ უკანასკნელს ჩემი მეგობარი კლაუდიო რანიერი წვრთნის. თუმც ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში „ტოტენჰემიც“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს და თუ ისინი მართლაც სუპერკლუბის შექმნას გადაწყვეტენ, ამით ნამდვილად დავინტერესდები“ — განაცხადა კაპელომ. აქვე გეტყვით, კაპელოს გარდა კიდევ ოთხი კანდიდატია — ჯოვანი ტრაპატონი, ჟოზე მაურინიუ, მარტინ ონილი და რადომირ ანტიჩი.

**ინგლისური** „ლიდს იუნაიტედის“ თავდამსხმელი ალან სმიტი კლუბის გამოცვლაზე ალაპარაკდა. იორკშირელები მძიმე ფინანსურ კრიზისში არიან, მათ უკვე გაყიდეს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი. ბუნებრივია, ეს გუნდის თამაშზეც აისახა და წლეულს „ლიდსის“ პრემიერლიგაში დარჩენა ძალიან სათუოა. სმიტი კი ერთ-ერთი მათგანია, ვის გაყიდვასაც კლუბი არ აპირებს, თუმცა ახალგაზრდა ფეხბურთელს პირველ დივიზიონში თამაშის სურვილი ნამდვილად არ აქვს და ამბობს: „ვიცი, რომ გუნდს ჩემი დახმარების იმედი აქვს და სწორედ ამიტომ არ გამყიდეს. მე ყველანაირად ვეცდები, რომ „ლიდსი“ პრემიერლიგაში დარჩეს, მაგრამ ეს თუ არ გამოვა, ალბათ კლუბის გამოცვლა მომიწევს“.

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### კონკაკაფი

**IV ჯგუფი. I მატჩი**

**ბრიტანეთის ვირჯინიის კ-ები 0:1 სენტ ლუსია და გრენადა**

*საპასუხო მატჩი გაიმართება 28 მარტს*

**V ჯგუფი. I ტური**

**კაიმანის კ-ები 1:2 კუბა**

*საპასუხო მატჩი გაიმართება 27 მარტს*

# მოიესმა რუნი რეალს და ჩელსის დაუთმო

**უეინ რუნიმ** ყმაწვილობაშივე სახელი გაითქვა. „ევერტონის“ ფორვარდს დროდადრო ისეთი გოლები გააქვს, რომ უმალ მისი გადაბირების მსურველები გამოჩნდებიან.

„ევერტონის“ მწვრთნელმა დევიდ მოიესმა „საუთჰემპტონთან“ მატჩის შემდეგ საქვეყნოდ თქვა, რომ რუნი თუკი სადმე წავა, ეს მადრიდის „რეალი“ ან ლონდონის „ჩელსი“ იქნება.

მერსისაიდული კლუბის თავკაცის ნათქვამი იმას ნიშნავს, რომ იგი ვარსკვლავბიჭუნას მუქთად არავის დაუთმობს და კარგ ფასად გაასხვისებს.

უეინ რუნიმ „საუთჰემპტონის“ კარში ორი გოლი გაიტანა, მწვრთნელმა კი იგი ასე დაახასიათა: „მას ყოველთვის შეუძლია ისე თამაში, როგორც „საუთჰემპტონთან“. იგი ყოველთვის გამორჩეული და განსაკუთრებულია. შესაძლოა, ხანდახან შეცდომებიც დაუშვას, მაგრამ ეს მის შესაძლებლობებს ვერასოდეს დაჩრდილავს. უეინ რუნის გადაბირების მსურველი მადრიდის „რეალზე“ და „ჩელსიზე“ ნაკლები გუნდი არ უნდა იყოს. რუნი სხვა კლუბში წასასვლელად ცოდვაა.“

**გაჟა ხუციშვილი**






# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 051 | ქრიუ-შეფილდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 23.45 | 052 | მილუოლი-როტერჰემი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 24.00 | 053 | რედინგი-ბარნლი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **25 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 055 | ნოტინგემი-ჯილინგემი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 071 | კოლჩესტერი-პორტ ვეილი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 23.45 | 072 | გრიმსბი-ლუტონი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 23.45 | 073 | რაშდენი-ტრანმერი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 075 | ბორნმუთი-რექსემი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 091 | ბერი-საუთენდი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 23.45 | 092 | ტორკი-სკანთორპი | 1,7 | 3,3 | 4,6 | 1,12 | 1,24 | 1,92 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 094 | სუონსი-ლეიტონი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი. XXIII ტური** | | | | | | |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 111 | ჰალიფაქსი-ალდერშოტი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 23.45 | 112 | შრიუსბერი-ბარტონი | 1,65 | 3,5 | 4,4 | 1,12 | 1,2 | 1,94 |
| | | **შოტლანდია** | | | | | | |
| | | **პრემიერლიგა. XXII ტური** | | | | | | |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 126 | მოზერუელი-აბერდინი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 23.45 | 127 | ლივინგსტონი-ჰართსი | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **25 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 272 | ბრედა-გრონინგენი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 23.00 | 273 | ჰერენვენი-აიაქსი | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| 23.00 | 274 | დენ ჰააგი-როდა | 2,8 | 3,3 | 2,3 | 1,51 | 1,26 | 1,35 |
| | | **სლოვაკეთი. I ლიგა. XVII ტური** | | | | | | |
| | | **25 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 382 | ტრენჩინი-პეტრჟალკა | 2,25 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,26 | 1,49 |
| | | **ინგლისი. თასი. V ეტაპი** | | | | | | |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 476 | ვესტ ჰემი-ფულემი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **25 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 477 | ბირმინგემი-სანდერლენდი | 1,6 | 3,4 | 5,3 | 1,08 | 1,22 | 2,07 |
| | | **შოტლანდია. თასი. IV ეტაპი** | | | | | | |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 479 | კლაიდი-დანფერმლაინი | 3,1 | 3,3 | 2,05 | 1,59 | 1,23 | 1,26 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 21.30 | 001 | ლოკომოტივი-მონაკო | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.45 | 002 | სპარტა-მილანი | 3,6 | 3,1 | 2,0 | 1,66 | 1,28 | 1,21 |
| 23.45 | 003 | ბაიერნი-რეალი | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| 23.45 | 004 | სელტა-არსენალი | 3,1 | 3,1 | 2,25 | 1,55 | 1.3 | 1,3 |
| | | **25 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 005 | დეპორტივო-იუვენტუსი | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| 23.45 | 006 | პორტუ-მანჩესტერი | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 23.45 | 007 | სოსიედადი-ლიონი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 23.45 | 008 | შტუტგარტი-ჩელსი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| | | **უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 20.00 | 481 | სპარტაკი-მალიორკა | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1.44 |
| 20.00 | 482 | ვოლერენგა-ნიუკასლი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1.13 |
| 21.00 | 483 | გროცლინი-ბორდო | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 21.00 | 484 | გაზიანთეფი-რომა | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 22.00 | 485 | მარსელი-დნიპრო | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1.15 | 2,75 |
| 22.30 | 486 | პარმა-გენჩლერბირლიგი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 22.30 | 487 | პერუჯა-პსვ | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 22.30 | 488 | გალათასარაი-ვილიარეალი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 23.00 | 489 | ოსერი-პანათინაიკოსი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1.13 | 1,26 | 1.88 |
| 23.30 | 490 | ბრიონდბიუ-ბარსელონა | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| 23.30 | 491 | ბრიუგე-დებრეცენი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 23.45 | 492 | სელტიკი-ტეპლიცე | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 24.00 | 493 | ლივერპული-ლევსკი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 24.00 | 494 | სოშო-ინტერი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1.27 | 1,38 |
| 00.30 | 495 | ვალენსია-ბეშიქთაში | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 01.15 | 496 | ბენფიკა-რუსენბორგი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2.19 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 20.00 | 1020 | ვსეტინი-ვიტკოვიცე | 2,4 | 3,5 | 2,3 | 1,42 | 1,17 | 1,38 |
| 20.30 | 1021 | ტრჟინეცი-ზნოიმო | 2,0 | 4,0 | 2,6 | 1,33 | 1,13 | 1,57 |
| 20.30 | 1022 | სპარტა-პლზენი | 1,5 | 4,4 | 4,4 | 1,11 | 1,11 | 2,2 |
| 20.30 | 1023 | კლადნო-კარლოვი ვარი | 1,5 | 4,6 | 4,2 | 1,13 | 1,1 | 2,19 |
| 20.30 | 1024 | ბუდეიოვიცე-ლიბერეცი | 2,1 | 3,8 | 2,5 | 1,35 | 1,14 | 1,5 |
| 20.30 | 1025 | პარდუბიცე-სლავია | 1,7 | 4,2 | 3,3 | 1,21 | 1,12 | 1,84 |
| 20.30 | 1026 | ლიტვინოვი-ზლინი | 2,6 | 3,5 | 2,15 | 1,49 | 1,17 | 1,33 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 1049 | კიოლნი-კასელი | 1,45 | 5,0 | 4,2 | 1,12 | 1,07 | 2,28 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 1069 | ციურიხი-კლოტენი | 1,75 | 4,4 | 3,0 | 1,25 | 1,1 | 1,78 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჰოკეი. შვედეთი 24 თებერვალი | | | | | | |
| 22.00 | 1086 | ჰვ 71-ლულეო | 1,6 | 4,6 | 3,5 | 1,18 | 1,09 | 1,98 |
| 22.00 | 1087 | ტიმრე-ლექსანდი | 1,75 | 4,4 | 3,0 | 1,25 | 1,1 | 1,78 |
| 22.00 | 1088 | ლინჩიოპინგი-სიოდერტელიე | 1,85 | 4,4 | 2,7 | 1,3 | 1,09 | 1,67 |
| 22.00 | 1089 | ფერიესტადი-იურგორდენი | 1,85 | 4,4 | 2,7 | 1,3 | 1,09 | 1,67 |
| 22.00 | 1090 | მალმიო-მოდო | 2,1 | 4,4 | 2,2 | 1,42 | 1,07 | 1,46 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 1091 | ბრიუნესი-ფრიოლუნდა | 2,15 | 4,4 | 2,15 | 1,44 | 1,07 | 1,44 |
| | | ჰოკეი. ფინეთი. 24 თებერვალი | | | | | | |
| 20.30 | 1103 | ჰელსინკი-იოკერიტი | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,1 | 1,56 |
| 20.30 | 1104 | ჰაამეენლინა-პელიკანსი | 1,1 | 8,0 | 10,0 | [illegible] | [illegible] | 4,44 |
| 20.30 | 1105 | ილვესი-ტაპარა | 1,95 | 4,4 | 2,5 | 1,35 | 1,09 | 1,59 |
| 20.30 | 1106 | ტურკუ-ესპოო | 1,6 | 4,6 | 3,5 | 1,18 | 1,09 | 1,98 |

# შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 24 თებერვალი | | |
| 21.30 | 7001 | ლოკომოტივი-მონაკო | 3,1 | 1,25 |
| 23.45 | 7002 | სპარტა-მილანი | 5,3 | 1,08 |
| 23.45 | 7003 | ბაიერნი-რეალი | 2,8 | 1,3 |
| 23.45 | 7004 | სელტა-არსენალი | 3,1 | 1,25 |
| | | 25 თებერვალი | | |
| 23.45 | 7005 | დეპორტივო-იუვენტუსი | 2,4 | 1,4 |
| 23.45 | 7006 | პორტუ-მანჩესტერი | 3,5 | 1,2 |
| 23.45 | 7007 | სოსიედადი-ლიონი | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 7008 | შტუტგარტი-ჩელსი | 2,6 | 1,35 |
| | | 26 თებერვალი | | |
| 20.00 | 7481 | სპარტაკი-მალიორკა | 2,8 | 1,3 |
| 20.00 | 7482 | ვოლერენგა-ნიუკასლი | 4,4 | 1,12 |
| 21.00 | 7483 | გროცლინი-ბორდო | 2,8 | 1,3 |
| 21.00 | 7484 | გაზიანთეფი-რომა | 4,0 | 1,15 |
| 22.00 | 7485 | მარსელი-დნიპრო | 1,15 | 4,0 |
| 22.30 | 7486 | პარმა-გენჩლერბირლიგი | 1,3 | 2,8 |
| 22.30 | 7487 | პერუჯა-პსვ | 2,8 | 1,3 |
| 22.30 | 7488 | გალათასარაი-ვილიარეალი | 1,9 | 1,7 |
| 23.00 | 7489 | ოსერი-პანათინაიკოსი | 1,55 | 2,1 |
| 23.30 | 7490 | ბრიონდბიუ-ბარსელონა | 4,0 | 1,15 |
| 23.30 | 7491 | ბრიუგე-დებრეცენი | 1,2 | 3,5 |
| 23.45 | 7492 | სელტიკი-ტეპლიცე | 1,3 | 2,8 |
| 24.00 | 7493 | ლივერპული-ლევსკი | 1,1 | 5,0 |
| 24.00 | 7494 | სოშო-ინტერი | 2,8 | 1,3 |
| 00.30 | 7495 | ვალენსია-ბეშიქთაში | 1,25 | 3,1 |
| 01.15 | 7496 | ბენფიკა-რუსენბორგი | 1,45 | 2,3 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.02 | 18.30 | 6001 | გერმანია ბლ (XXII) | 25 და ნაკლები – 1,9 | 27 და მეტი – 1,9 |
| 28.02 | 21.00 | 6002 | იტალია A (XXIII) | 23 და ნაკლები – 1,9 | 25 და მეტი – 1,9 |
| 28.02 | 22.30 | 6003 | ესპანეთი Iდ (XXVI) | 25 და ნაკლები – 1,9 | 27 და მეტი – 1,9 |
| 28.02 | 20.15 | 6004 | საფრანგეთი Iდ (XXVI) | 21 და ნაკლები – 1,9 | 23 და მეტი – 1,9 |
| 27.02 | 01.30 | 6005 | პორტუგალია სლ (XXIV) | 22 და ნაკლები – 1,9 | 24 და მეტი – 1,9 |
| 27.02 | 23.00 | 6006 | ჰოლანდია Iდ (XXIII) | 25 და ნაკლები – 1,9 | 27 და მეტი – 1,9 |
| 27.02 | 23.30 | 6007 | ბელგია Iდ (XXIV) | 25 და ნაკლები – 1,9 | 27 და მეტი – 1,9 |

# ჩემპიონები და თასის აღება

**9001**
**ინგლისი (28.02)**

| | |
|---|---|
| არსენალი | 1,1 |
| მანჩესტერი | 4,4 |
| ჩელსი | 10,0 |

**9002**
**გერმანია (28.02)**

| | |
|---|---|
| ვერდერი | 1,5 |
| ბაიერნი | 2,1 |
| შტუტგარტი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 25,0 |

**9003**
**იტალია (28.02)**

| | |
|---|---|
| მილანი | 1,4 |
| რომა | 4.0 |
| იუვენტუსი | 5,0 |

**9004**
**ესპანეთი (28.02)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1,05 |
| ვალენსია | 5,0 |
| დეპორტივო | 8,0 |

**9005**
**საფრანგეთი (28.02)**

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,25 |
| ლიონი | 3,2 |
| პსჟ | 6.0 |

**9006**
**პორტუგალია (28.02)**

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,01 |
| სპორტინგი | 10,0 |
| ბენფიკა | 30,0 |

**9007**
**ჰოლანდია (29.02)**

| | |
|---|---|
| აიაქსი | 1,02 |
| პსვ | 6,5 |

**9008**
**ავსტრია (28.02)**

| | |
|---|---|
| ავსტრია | 1,5 |
| რაპიდი | 3,5 |
| გრაცერი | 4,0 |

**9009**
**დანია (14.03)**

| | |
|---|---|
| ბრიონდბიუ | 1,3 |
| ესბიერგი | 4,0 |
| კოპენჰაგენი | 5,0 |

**9010**
**საბერძნეთი (28.02)**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 1,6 |
| პანათინაიკოსი | 2,0 |
| პაოკ | 15,0 |

**9011**
**უკრაინა (07.03)**

| | |
|---|---|
| შახტარი | 1,55 |
| დინამო | 1,95 |

**9020**
**ჩემპიონთა თასი (24.02)**

**რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს**

| | |
|---|---|
| ინგლისი | 1,8 |
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 2,9 |
| გერმანია | 9,3 |
| საფრანგეთი | 13,6 |

**9020**
**ჩემპიონთა თასი (24.02)**

| | |
|---|---|
| რეალი | 4,0 |
| მანჩესტერი | 4,6 |
| იუვენტუსი | 5,0 |
| მილანი | 5,0 |
| ჩელსი | 6,0 |
| არსენალი | 6,0 |
| ბაიერნი | 15,0 |
| დეპორტივო | 20,0 |
| შტუტგარტი | 25,0 |
| მონაკო | 25,0 |
| ლიონი | 30,0 |
| პორტუ | 40,0 |
| სოსიედადი | 40,0 |
| სელტა | 50,0 |
| ლოკომოტივი | 100,0 |
| სპარტა | 150,0 |

**9022**
**უეფას თასი (26.02)**

| | |
|---|---|
| რომა | 5,6 |
| ვალენსია | 6,0 |
| ბარსელონა | 6,0 |
| ინტერი | 6,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ნიუკასლი | 8,0 |
| პარმა | 10,0 |
| სელტიკი | 12,0 |
| მარსელი | 15,0 |
| ბორდო | 25,0 |
| მალიორკა | 25,0 |
| პსვ | 25,0 |
| ოსერი | 25,0 |
| გალათასარაი | 30,0 |
| ბრიუგე | 30,0 |
| პერუჯა | 30,0 |
| ბენფიკა | 30,0 |
| ვილიარეალი | 30,0 |
| ბეშიქთაში | 30,0 |
| სოშო | 40,0 |
| პანათინაიკოსი | 40,0 |
| რუსენბორგი | 50,0 |
| სპარტაკი | 60,0 |
| გენჩლერი | 60.0 |
| ბრიონდბიუ | 60,0 |
| გაზიანთეფი | 100,0 |
| გროცლინი | 100,0 |
| ტეპლიცე | 100,0 |
| დნიპრო | 100,0 |
| ლევსკი | 150,0 |
| დებრეცენი | 250,0 |
| ვოლერენგა | 250.0 |

**9031**
**NHL (05.04)**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 4.0 |
| დეტროიტი | 5,0 |
| ფილადელფია | 5,5 |
| ვანკუვერი | 6,0 |
| ნიუ ჯერსი | 6,5 |
| ოტავა | 7,0 |
| ტორონტო | 7,5 |
| სტ.ლუისი | 12,0 |
| დალასი | 12,0 |
| ბოსტონი | 18,0 |
| სან ხოსე | 18.0 |
| ლოს ანჯელესი | 20,0 |
| ტამპა ბეი | 20,0 |
| რეინჯერსი | 30,0 |
| კალგარი | 30,0 |
| ატლანტა | 40,0 |
| მინესოტა | 40,0 |
| აილენდერსი | 40,0 |
| მონრეალი | 40,0 |
| ანაჰაიმი | 50,0 |
| ნეშვილი | 50,0 |
| ედმონტონი | 60,0 |
| ფინიქსი | 60,0 |
| კაროლინა | 100,0 |
| ბუფალო | 100,0 |
| ფლორიდა | 100,0 |
| ჩიკაგო | 150,0 |
| კოლამბუსი | 150.0 |
| პიტსბურგი | 200.0 |
| ვაშინგტონი | 200.0 |

**9032**
**NBA (15.04)**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 1.8 |
| საკრამენტო | 3,5 |
| სან ანტონიო | 5.0 |
| მინესოტა | 7.0 |
| დალასი | 8.0 |
| ინდიანა | 10.0 |
| დეტროიტი | 15.0 |
| ნიუ ჯერსი | 15.0 |
| ნიუ ორლეანი | 30.0 |
| ჰიუსტონი | 50.0 |
| ფილადელფია | 60.0 |
| ბოსტონი | 60.0 |
| დენვერი | 60.0 |
| ნიუ იორკი | 60.0 |
| ტორონტო | 60.0 |
| მილუოკი | 75.0 |
| იუტა | 100.0 |
| პორტლენდი | 100.0 |
| სიეტლი | 100.0 |
| მემფისი | 100.0 |
| გოლდენ სტ. | 150.0 |
| კლიპერსი | 150.0 |
| ფინიქსი | 200.0 |
| მაიამი | 200.0 |
| კლივლენდი | 200.0 |
| ორლანდო | 300.0 |
| ატლანტა | 300.0 |
| ვაშინგტონი | 300.0 |
| ჩიკაგო | 300.0 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5001 | ლოკომოტივი-მონაკო | 3,1 | 2,05 | 3,2 | 1,23 | 1,57 | 1,24 |
| 5002 | სპარტა-მილანი | 4,4 | 2,05 | 2,4 | 1,39 | 1,55 | 1,1 |
| 5003 | ბაიერნი-რეალი | 3,3 | 2,05 | 3,0 | 1,26 | 1,57 | 1,21 |
| 5004 | სელტა-არსენალი | 3,6 | 2,05 | 2,7 | 1,3 | 1,54 | 1,16 |
| 5005 | დეპორტივო-იუვენტუსი | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5006 | პორტუ-მანჩესტერი | 3,5 | 2,05 | 2,8 | 1,29 | 1,55 | 1,18 |
| 5007 | სოსიედადი-ლიონი | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 5008 | შტუტგარტი-ჩელსი | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1,24 | 1,57 | 1,23 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5201 | ლოკომოტივი-მონაკო | 1,65 | 1,95 |
| 5202 | სპარტა-მილანი | 1,65 | 1,95 |
| 5203 | ბაიერნი-რეალი | 1,8 | 1,8 |
| 5204 | სელტა-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 5205 | დეპორტივო-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 5206 | პორტუ-მანჩესტერი | 1,75 | 1,85 |
| 5207 | სოსიედადი-ლიონი | 1,7 | 1,9 |
| 5208 | შტუტგარტი-ჩელსი | 1,7 | 1,9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ანაზღაურდება (ბათილდება))

| | | | |
|---|---|---|---|
| 5401 | ლოკომოტივი-მონაკო | 1,9 | 1,9 |
| 5402 | სპარტა-მილანი | 2,2 | 1,7 |
| 5403 | ბაიერნი-რეალი | 1,95 | 1,85 |
| 5404 | სელტა-არსენალი | 2,0 | 1,8 |
| 5405 | დეპორტივო-იუვენტუსი | 1,8 | 2,0 |
| 5406 | პორტუ-მანჩესტერი | 2,0 | 1,8 |
| 5407 | სოსიედადი-ლიონი | 1,7 | 2,2 |
| 5408 | შტუტგარტი-ჩელსი | 1,9 | 1,9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5501 | ლოკომოტივი-მონაკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5502 | სპარტა-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5503 | ბაიერნი-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | სელტა-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5505 | დეპორტივო-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | პორტუ-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | სოსიედადი-ლიონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | შტუტგარტი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5101 | ლოკომოტივი-მონაკო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5102 | სპარტა-მილანი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 5103 | ბაიერნი-რეალი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5104 | სელტა-არსენალი | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 5105 | დეპორტივო-იუვენტუსი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5106 | პორტუ-მანჩესტერი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5107 | სოსიედადი-ლიონი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5108 | შტუტგარტი-ჩელსი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

# შეგვქლებია, თე მოვინდომებთ

## ევროპაში ქართველებისთვის კალათი გაგანიერდა



„ოლიმპია“ და ვლადიმერ ბოისა (მარჯვნივ) ჯგუფში არჩარჩენას ხარობენ

მანუჩარ მარკოიშვილსა და მის „მიტელდოიჩერს“ „გიესენთან“ ფეხი რომ არ დასცდენოდათ, ეს უქმეები ჭეშმარიტად ქართული იქნებოდა ევროპაში. ისეთი დიდი და მგრგვინავი არაფერი მომხდარა, დიდ ევროპელებს პატარა ქართველები შევემჩნიეთ, მაგრამ ჩვენი მდაბალი გადმოსახედიდან ყველაფერი ცოტა მაღალი ჩანს. თანაც სადაც კი ჩვენებურმა ევროპაში ხელი გაიქნია, იქ ბურთიც ჩავარდა და დამარჯვებაც გამოდნა.

ვლადიმერ ბოისამ მართლაც დიდი საქმე გაუკეთა სლოვენიელებს — „ოლიმპია“ ევროპის უმძლავრესი ლიგის მომდევნო ეტაპზე გაიყვანა. ლიუბლიანელები „ყოფნა-არყოფნის“ ზღვარზე იდგნენ: თუ ხორვატიულ „ციბონას“ ვერ მოერეოდნენ, პირველად ჩარჩებოდნენ ევროლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე. სწორედ ასეთ პრინციპულ შეხვედრაში გამოიღო ხელი ბოისამ და 4-წლიან სლოვენიურ კარიერაში საუკეთესო მატჩი გამოაცხო. ლიუბლიანელთა რუსთაველმა კაპიტანმა 32 წუთში 27 ქულა აძგერა ხორვატებს და თავის გუნდს ოვერტაიმიან ომზე გავლით მომდევნო ეტაპის გზა გაუხსნა.

ამით როდი ამოიწურება ბოისას საქმენი საგმირონი, ვოვამ შაბათს „ოლიმპიას“ ადრიატიკის ლიგაშიც მოაგებინა. ლიუბლიანელთა კაპიტანი ამჯერად შედარებით მოკრძალებული იყო, მხოლოდ 11 ქულა მოიმკა, მაგრამ სლოვენიელებმა მისი შეუპოვრობით დაამარცხეს ხორვატიული „სპლიტი“.

ზედიზედ მეორე უხვქულიანი მატჩი ჰქონდა ვახტანგ ნაცვლიშვილს საფრანგეთში — ვატომ თავის „დიჟონს“ 101:73 დაამარცხებინა „რეიმსი“. ნაცვლიშვილმა წინა, „შალონთან“ წაგებულ შეხვედრაში 23 ქულა ჩააგდო და მატჩის ბომბარდირი გახდა. „რეიმსთან“ ის 17 ქულას დასჯერდა, თუმც მთავარმექულეობისთვის ესეც ეყო.

ცოტაოდენი ითამაშა ვიქტორ სანიკიძემაც, მაგრამ უფროს და სახელიან თანამემამულესთან 17 წლის „ვიკა“ (ფრანგები ასე ეძახიან) ჯერ სად მივა. სანიკიძე 6 წუთით გაიყვანეს მოედანზე და მან ერთი ქულა და დროის კვალობაზე არცთუ ცოტა, 3 მოხსნა გააკეთა.

სანიკიძეს თანაგუნდელმა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში გიორგი ცინცაძემ კი საბოლოოდ იპყრო ცსკა-ს დუბლების ლიდერობა და გასულ კვირაში სანკტ პეტერბურგში მოწყობილ რუსეთის დუბლიორთა ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირზე სულ კუდით ქვა ასროლინა არმიელთა მეტოქეებს.

ნევისპირეთში 6 გუნდი შეიყარა და ამათში საუკეთესო ცსკა გამოვიდა. არმიელებმა ხუთივე მეტოქეს იოლად მოუგეს და საწყისი 4 შეხვედრის ბომბარდირი და არქიმეპასე ქართველი უკანახაზელი გახდა. თბილისურად „ბუმ“, რუსებისთვის კი „ჟორიკამ“ ორი 21-ქულიანი მატჩი გამოაცხო, დანარჩენებშიც იყოჩაღა და მხოლოდ მეხუთე შეხვედრის ბომბარდირი ვერ გახდა. აქ მეტოქე სუსტი „ხიმკი“ იყო და ცსკა-ს მწვრთნელმა ევგენი პაშუტინმა ქართველი ოდენ 17 წუთით დაასაქმა.

ზემორე ამბების ფონზე ცოტა უფერულად გამოჩნდება მანუჩარ მარკოიშვილის ბუნდესმონაგარი. 6 ქულა, 3 მოხსნა და 3 პასიც არაა ურიგო შედეგი, ეგაა, მანოს გუნდმა ბუნდესლიგის მორიგი შეხვედრა წააგო და თუ ორი ტურის წინ მეშვიდე ადგილი ეკავა, ახლა მეათეზე ჩამოქვეითდა. ვეისენფელსელები მაჩანჩალა „გიესენთან“ სტუმრად დამარცხდნენ და მეპლეიოფე რვეულს ჩამორჩნენ.

გავხედოთ ოკეანგაღმა მიწებს, სადაც ბებერი კონტინენტისგან განსხვავებით თითქმის არაფერი გაუკეთებით ქართველებს. ვლადიმერ სტეფანიას სურდო შეჰყრია და ვერ თამაშობს, ნიკა ცქიტიშვილის 3-3-წუთიან თამაშს კი თამაშსაც ვერ დაარქმევ. 20 თებერვალს „ქართული დერბი“ უნდა შემდგარიყო, მაგრამ ის ზედიზედ მეორედ „ჩაიშალა“. თანაც თუ „პორტლენდ“ — „დენვერის“ ამასწინანდელ შეხვედრაში არც ცქიტიშვილი გასულა მოედანზე და არც სტეფანია, პარასკევის მატჩში ორლანდოელი ზაზა ფაჩულიას 19-წუთიან ვაინაჩრობას სკამიდან უყურა „ნაგიტსზე“ გულაყრილმა „ცქიტომ“.

ფაჩულიამ „მილუოკისთანაც“ ითამაშა, თანაც სასტარტო ხუთეულში, მაგრამ საბოლოოდ ბევრს ვერაფერს გამორჩა.

**ირაკლი პერტაია**

## ქართული ლეგიონი გასულ კვირაში

| | გუნდი | მეტოქე | ტურნირი | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | წ/ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ციბონა | ევროლიგა | შ | 86:81 | 32 | 27 | 3 | 1 | 29/10,2 |
| | | სპლიტი | ადრიატიკის ლიგა | შ | 84:72 | 35 | 11 | 3 | 2 | 28/12 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | რეიმსი | საფრანგეთის ჩემპ. | შ | 101:73 | 20 | 17 | 3 | 1 | 26/15 |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | რეიმსი | საფრანგეთის ჩემპ. | შ | 101:73 | 6 | 1 | 3 | 0 | 4,5/2 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | მიტელდოიჩერი | გიესენი | ბუნდესლიგა | ს | 82:92 | 34 | 6 | 3 | 3 | 31/10,5 |
| გიორგი ცინცაძე | ცსკა (დუბლები) | კონტი | რუსეთის დუბლ. ჩემპ. | ნეიტრ. | 111:87 | 30 | 21 | 2 | 7 | — |
| | | ავტოდორი | რუსეთის დუბლ. ჩემპ. | ნეიტრ. | 80:58 | 30 | 15 | 5 | 9 | — |
| | | ცსკ-ვვს | რუსეთის დუბლ. ჩემპ. | ნეიტრ. | 91:72 | 29 | 20 | 2 | 5 | — |
| | | დინამო (მოსკ.) | რუსეთის დუბლ. ჩემპ. | ნეიტრ. | 106:77 | 31 | 21 | 1 | 8 | — |
| | | ხიმკი | რუსეთის დუბლ. ჩემპ. | ნეიტრ. | 117:64 | 17 | 11 | 3 | 2 | 24/12 |
| ზაზა ფაჩულია | ორლანდო | მილუოკი | NBA რეგულარ. ჩემპ. | ს | 104:127 | 22 | 4 | 3 | 0 | — |
| | | დენვერი | NBA რეგულარ. ჩემპ. | შ | 102:98 | 19 | 2 | 4 | 0 | 12/3,5 |
| ნიკა ცქიტიშვილი | დენვერი | ფილადელფია | NBA რეგულარ. ჩემპ. | შ | 106:85 | 3 | 0 | 0 | 0 | — |
| | | ორლანდო | NBA რეგულარ. ჩემპ. | ს | 98:102 | არ უთამაშია | | | | — |
| | | მაიამი | NBA რეგულარ. ჩემპ. | ს | 81:97 | 3 | 0 | 0 | 0 | 7,5/2,5 |
| ვლადიმერ სტეფანია | პორტლენდი | ბოსტონი | NBA რეგულარ. ჩემპ. | შ | 105:84 | არ უთამაშია | | | | — |
| | | ლეიკერსი | NBA რეგულარ. ჩემპ. | ს | 86:89 | არ უთამაშია | | | | — |
| | | კლიპერსი | NBA რეგულარ. ჩემპ. | შ | 101:86 | არ უთამაშია | | | | — |
| | | გოლდენ სტეიტი | NBA რეგულარ. ჩემპ. | ს | 94:93 | არ უთამაშია | | | | 10,8/2,6 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი;
წ/ქ — ტურნირის მატჩებში საშუალოდ ნათამაშები წუთები და მოგროვილი ქულები; ს — სტუმრად; შ — შინ

## რეგულარული ჩემპიონატი

22 თებერვალი

**დეტროიტი 86:87 ორლანდო**

დეტროიტი: ბილაპსი (16), ჰამილტონი (23), პრინსი (4), რ. ვოლესი (14), ბ. ვოლესი (11 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება); ჯეიმსი (7), ჰემი (6), ოქური (6), ფოულკისი, უილიამსონი

ორლანდო: ლუ (5), ბოგანსი (3), მაკგრეიდი (19), ჰოვარდი (20), პანტერი (5); გუდენი (14), სტივენსონი (10), რუქსი (6), სტრიკლენდი (5), პენიჯარი

ფაჩულია სათადარიგო იყო

**მინესოტა 92:93 სან ანტონიო**

მინესოტა: გარნეტი (28 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), კასელი (24)

სან ანტონიო: პარკერი (26), დანკანი (25)

**ფინიქსი 92:104 ლეიკერსი**

ფინიქსი: სტუდემაიერი (25 ქულა, 12 მოხსნა), მერიონი (22 ქულა, 13 მოხსნა)

ლეიკერსი: ბრაიანტი (40), პეიტონი (20), ონილი (19)

**ნიუ იორკი 86:92 კლივლენდი**

ნიუ იორკი: მარბერი (30), ტომასი (16 ქულა, 11 მოხსნა)

კლივლენდი: ილგაუსკასი (31 ქულა, 15 მოხსნა), ჯეიმსი (22), ბუზერი (14 ქულა, 17 მოხსნა)

**ჰიუსტონი 123:121 ატლანტა**

ძირითადი დრო 94:94

ჰიუსტონი: მინგი (41 ქულა, 16 მოხსნა, 7 პასი), მობლი (28), ჯ. ჯეკსონი (17), ფრენსისი (16)

ატლანტა: ტერი (27), ს. ჯეკსონი (24), კროუფორდი (19), რებრაჩა (18)

**ტორონტო 81:96 საკრამენტო**

ტორონტო: ბოში (20), მარშალი (18 ქულა, 13 მოხსნა)

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (27), ბიბი (21)

**ინდიანა 94:80 იუტა**

ინდიანა: ონილი (21 ქულა, 10 მოხსნა, 7 დაფარება)

იუტა: კირილენკო (22), ბელი (21)

**ვაშინგტონი 85:113 მილუოკი**

ვაშინგტონი: ალენასი (21), ჰეიესი (16)

მილუოკი: რედი (25)

**სიეტლი 108:87 ბოსტონი**

სიეტლი: ლუისი (28), ალენი (20 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)

ბოსტონი: პირსი (34)

### აღმოსავლეთი

| ატლანტიკა | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 34 | 20 | 63,0 |
| ნიუ იორკი | 26 | 31 | 45,6 |
| მაიამი | 25 | 32 | 43,9 |
| ფილადელფია | 23 | 33 | 41,1 |
| ბოსტონი | 23 | 35 | 39,7 |
| ვაშინგტონი | 16 | 38 | 29,6 |
| ორლანდო | 16 | 42 | 27,6 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 41 | 15 | 73,2 |
| დეტროიტი | 34 | 24 | 58,6 |
| ნიუ ორლეანი | 30 | 25 | 54,5 |
| მილუოკი | 29 | 26 | 52,7 |
| ტორონტო | 25 | 30 | 45,5 |
| კლივლენდი | 22 | 34 | 39,3 |
| ატლანტა | 18 | 38 | 32,1 |
| ჩიკაგო | 16 | 40 | 28,6 |

### დასავლეთი

| შუა-დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| მინესოტა | 40 | 16 | 71,4 |
| სან ანტონიო | 37 | 19 | 66,1 |
| დალასი | 35 | 20 | 63,6 |
| მემფისი | 33 | 22 | 60,0 |
| ჰიუსტონი | 32 | 23 | 58,2 |
| დენვერი | 32 | 25 | 56,1 |
| იუტა | 27 | 30 | 47,4 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| საკრამენტო | 40 | 14 | 74,1 |
| ლეიკერსი | 35 | 19 | 64,8 |
| პორტლენდი | 27 | 28 | 49,1 |
| სიეტლი | 26 | 29 | 47,3 |
| გოლდენ სტეიტი | 24 | 30 | 44,4 |
| კლიპერსი | 24 | 30 | 44,4 |
| ფინიქსი | 18 | 40 | 31,0 |


[illegible] ფოტო

ბიძინა გეგიძე
# წაგების ღირსი ვიყავით
## ესპანეთმა შერკინებაც კი დაგვიტრიალა

*ესპანეთთან ფრედ ნათამაშები საქართველოს ნაკრები გუშინ თბილისში საღამოს დაბრუნდა. ორი მატჩადან ერთი ჯინჯილა საცხრილო ქულის გამომდნობ ბორჯღალოსნებს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძეც ჩამოჰყვათ. გეგიძეს გუშინ სახელდახელოდ გავესაუბრეთ*

— მეტს ველოდი, ყველანაირი ლოგიკით უნდა მოგვეგო, თუნდაც ამ შემადგენლობით. სამწუხაროდ ბიჭებმა სანახევროდაც ვერ შეასრულეს მწვრთნელების დავალება, პრაქტიკულად ყველაფერი წავაგეთ. დერეფანი, შერკინება და სტატიკური მომენტები. ესპანელებმა რამდენჯერმე დაგვიტრიალეს შერკინება. ჩვენები კი გადამწყვეტ მომენტში კარგავდნენ ბურთს და რეალური მომენტები გაანიავეს. ღირსი ვიქნებოდით, რომ წაგვეგო.

— ესე იგი, გუნდი ჯერ კიდევ ვერ შეიკრა?

— ბრძოლის ჟინს ვერავის დავუწუნებ, მაგრამ ნაკრებმა ვერ დატოვა გონიერი გუნდის შთაბეჭდილება. საჭირო მომენტში ვერ იღებდნენ სწორ გადაწყვეტილებას, არ იყვნენ შემსრულებლები. არადა მე ვესწრებოდი მწვრთნელთა წინასამატჩო დარიგებას და მათ მორაგბეებს სულ სხვა რამე უთხრეს, ვიდრე მოთამაშეებმა გააკეთეს.

— ოფიციალური ესპანური სარაგბო საიტის მიხედვით, ესპანელებს ორი იოლი საჯარიმოც გაუცუდდათ.

— ესპანელებმა მართლაც ვერ გაიტანეს ორი ჯარიმა რაც ქარის ბრალი იყო. ისე, კი ჩემი აზრით ჩვენებმაც შეცოდეს, როცა ორჯერ არ დაარტყეს დასარტყამი ჯარიმა. პირველ ტაიმში ესპანელები თამაშობდნენ პირქარში, მეორეში ჩვენ. პირველივე ტაიმში ნულით-ნულზე შეგვეძლო ორჯერ გატანა, მაგრამ ქარიაო და კარში არ დაარტყეს, არადა ისეთი ქარი ნაღდად არ იყო, იმ მანძილიდან კარში ვერ მიეღწია ბურთს.

— ორიოდ კვირაში საქართველოს ნაკრები რუსეთს მასპინძლობს, რომელიც ლოგიკურად ესპანეთზე გაცილებით ძლიერია. თქვენი აზრით ჩვენები სარუსეთოდ პროგრესს განიცდიან თუ...

— რეგრესს! პორტუგალიასთან გაცილებით კარგად ითამაშა გუნდმა ვიდრე ესპანეთთან. განსაკუთრებით პორტუგალიასთან პირველი ტაიმის ათწუთიანი მონაკვეთი მომეწონა, როდესაც ჩვენები მაგრად მიაწვენენ მეტოქეს, რაც მთავარია, ამას ჩვეულებრივად აკეთებდნენ. ესპანეთთან კი საერთოდ უა-ზროდ ითამაშეს.

— რუსეთთან რისი იმედი უნდა გვქონდეს?

— ისევ და ისევ ძველი გვარდიის. რაღაც ტრავმების ეპიდემია დაგვატყდა თავს — გოდერძი შველიძე, აქვსენტი გიორგაძე, პალიკო ჯიმშელაძე, გრეგუარ იაშვილი ტრავმირებულები იყვნენ და ვერ ითამაშეს. იმედია სარუსეთოდ ჯანზე იქნებიან და გუნდს საკმაოდ დიდ ძალას შემატებენ. ესპანეთთან კარგად ითამაშა რამდენიმე ახალბედამ, განსაკუთრებით ოთარ ბარკალაიამ, მამუკა გორგოძემ და ბიძინა სამხარაძემ.

— ესპანეთთან მატჩს დავუბრუნდეთ. საორგანიზაციო ან სხვა პრობლემებს ხომ არ წააწყდით?

— არა. მგონი ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ყველაფერი უმაღლეს დონეზე გაკეთდა. არც მოედნის პრობლემა გვქონდა და არც ცხოვრების. თანაც მატჩი, ტარაგონაში ბარსელონას მახლობლად გაიმართა. კატალონია ესპანური რაგბის ყველაზე დიდი კერაა და შესაფერის სტადიონზეც გვათამაშეს.

**ბაჩო სვანიძე**



# ჰკა მაგას!
## ახალბედა კუპატაძემ რუსი ჩემპიონი გალახა

გასული კვირის ბოლოს ხორვატიულ პულაში დაწყებული მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი საქართველოს ნაკრებისთვის საკმაოდ კარგად მიდის. მთავარ მწვრთნელ თენგიზ მესხაძის ცხრაკაციანი გუნდიდან საწყის ეტაპებზე ასპარეზობას მხოლოდ ორი, ფოთელი ლაშა ოჩიგავა (54კგ) და თბილისელი დავით წიკლაური (75კგ) გამოეთიშნენ. ფოთელმა ნიკა იზორიამ (51კგ), თბილისელმა კონსტანტინე კუპატაძემ (57კგ) და ცხინვალელმა დიმიტრი ფუხაევმა (91კგ) ორ-ორი ბრძოლა მოიგეს და პირველებმა გააღწიეს მეოთხედფინალში. მედლამდე და შესაბამისად, ოლიმპიურ ლიცენზიამდე მათ ერთი გამარჯვებაღა რჩებათ.

განსაკუთრებით გამოსარჩევი კუპატაძის მეორე გამარჯვებაა, რომელსაც ევროპელმა მიმომხილველებმა ტურნირის მთავარი სენსაცია უწოდეს. დებიუტანტმა ქართველმა რუსეთის ნაკრების ვარსკვლავს, ორგზის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ და ოლიმპიურ პრიზიორ რაიმკულ მალახბეკოვს სძლია.

წუხელ მეოთხედფინალში გასასვლელი ბრძოლები ავთანდილ კაშიას (60კგ. ქუთაისი), კახაბერ ჟვანიას (64კგ. ფოთი), მალხაზ ბერკაცაშვილსა (69კგ. ვარიანი) და ვლადიმერ ჭანტურიას (91კგ. ფოთი) უნდა ჩაეტარებინათ.

დღეს, ხვალ და ზეგ მეოთხედფინალები გადანაწილდება და ლიცენზიანებიის ვინაობაც გაირკვევა. ნახევარფინალები 27-28-ში გაიმართება. ზამთრის ბოლო დღეს კი ოქრო-ვერცხლიც ჩამორიგდება.

დღეს ქართული გუნდიდან მხოლოდ იზორია და კუპატაძე იჩხუბებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**







# კიმლეიტონიანი
## ნეფე-პატარძალმა ტორტზე ტკბილი გასინჯა

**ABN AMRO**
**როტერდამი. ჰარდი**
**საპრიზო 842 ათასი ევრო**

**ფინალი**

**ლეიტონ ჰიუიტი (6, ავსტრალია) — ხუან კარლოს ფერერო (2, ესპანეთი) 6:7 (1:7), 7:5, 6:4**

ლეიტონ ჰიუიტს დღეს 23 წელი შეუსრულდება და საამამბოდ მან თავის თავს რიგიანი საჩუქარი — მე-2 საამსეზონო და 21-ე საკარიერო ტიტული მოუმზადა.

ეს ტიტული და ზედაც 161 800 ევრო კისკას ოზბიჭს იოლად სულაც არ რგებია. მართალია, სახელიან მეჩოგნეებს — ფერნანდო გონსალესს, ტომას იოჰანსონს, რაინერ შუტლერსა და ტიმ ჰენმანს ფინალამდე სეტისწაუგებლად გასცდა, მაგრამ თავისთავად არც ამათი ძლევა გახლდათ გასეირნება და ფინალი ხომ მით უმეტეს მძიმე გამოდგა.

ხუან კარლოს ფერერომ ჰიუიტთან სატიტულოდ გაჯიბრებამდე მასზე 43-ით მეტი ანუ ჯამში 123 გეიმი იჩოგნავა და გადამწყვეტიც სწორედ ეგ იყო. ბასრ ესპანელს ფინალამდე ჰიუიტის თანაბრად დახარჯულს რომ მიეღწია, ეგებ ემარჯვა კიდეც. მაგრამ ზედიზედ სამსეტიანი მატჩის შემდეგ კიდევ ერთი ასეთივე, 159-წუთიანი შეხვედრა უკვე ველარ „მოინელა" და დათმო.

თუმცა ვინმეს არც იმის ასაკრეფად მოუტრიალდება კლავიატურა, თითქოს ჰიუიტი გამარჯვებას არ იმსახურებდა. ციბრუტივით მობზრიალე ავსტრალიელმა თავისი საკეთებელი კვლავაც ჯიგრიანად აკეთა და მეტოქეს ზუსტად იმდენით აჯობა, რაიც მოგებისთვის იყო საჭირო.

შარშანდელი სეზონი მე-17 ადგილზე რომ გავასრულე, ეგ ჩემ რეალურ ძალას ნაღდად არ ასახავდაო, ამბობდა ნამატჩევს ჰიუიტი. ეგ მხოლოდ იმის ბრალი იყო, რომ ძალზედ ცოტა ვითამაშეო, დასძენდა მერე.

ჰოდა, გიხაროდენ — საამკვირაო რეიტინგსიებში ის ისევ ზეათეულშია და მეცხრე ადგილზე დამკვიდრებული ოზთა მთავარჩოგანს იბრუნებს მარკ ფილიპუსისისგან.

სხვაფრივ — ეს მისი პირველი როტერდამობა იყო, ხოლო ფერეროს მერვე შეხლაში უკვე მეხუთედ აჯობა.

**KROGER ST8 JUDE**
**მემფისი. ჰარდი**
**საპრიზო 690 ათასი $**

**ფინალი**

**იოახიმ იოჰანსონი (შვედეთი) — ნიკოლას კიფერი (8, გერმანია) 7:6 (7:5), 6:3**

შვედ ტიტულოსანთა ამქარში მატებაა. გთხოვთ, იცნობდეთ — 21 წლისა და 198 სანტიმეტრის იოახიმ იოჰანსონი, მძლავრად მოგლაჯუნე ვიკინგთაგანი, ვინაც ტურნირის განმავლობაში 78 ეისი მოაქუჩა და ბიორნ ბორგის, შტეფან ედბერგისა და მაგნუს ლარსონის შემდეგ გახდა მეოთხე შვედი, მემფისურ ტურნირზე რომ იმარჯვა. სხვათა შორის, რაგინდარა საეტიპიო ტიტული შვედთგან ბოლოჯერ იონას ბიორკმანმა იშოვა 2002 წელს ნოტინგემის ტურნირზე.

კარიერის პირველი ფინალისკენ მიმავალ გზაზე იოჰანსონმა თავისი მოწოდების წაუგებლად სძლია კორეელ ლის, ჯეიმს ბლეიკს (6), ქსავიე მალისსა და მარდი ფიშს (2). თავის პირველ მემფისობაზე მოჩოგნავე კიფერს კი ის წინა კვირაში სან ხოსეშიც მოერია და ამის გამეორება არც ამ ჯერზე გაუჭირდა. 26 წლის გერმანელი თავს იმით ინუგეშებდა, რომ რაგინდარა ფინალში 2000 წლის ჰონგკონგური ტურნირის შემდეგ აღარ გასულიყო.

**ATP BUENOS AIRES**
**თიხნარი**
**საპრიზო 380 ათასი $**

**ფინალი**

**გილერმო კორია (1, არგენტინა) — კარლოს მოია (2, ესპანეთი) 6:4, 6:1**

გილერმო კორიამ ზედიზედ მე-20 თიხნარმატჩი მოიგო. დიახ — ამ საფარზე მას შარშანდელ როლანგაროსულ ნახევარფინალში მარტინ ფერკერკთან დამარცხების შემდეგ აღარ წაუფორხილია და, თუ ტიტულებზე გადავახურდავებთ, ამ წარმატებული სერიისას უკვე მეოთხე ტიტული მიითვალა. სულ კი ეს მისი მეშვიდე საკარიერო ჯილდო გახლავთ და გილერმო პერეს-როლდანის (1987) შემდეგ ის გახდა პირველი არგენტინელი, ამ ტურნირის მოგება რომ შეძლო.

კარლოს მოიამ კი, ვისაც იქ აქამდე ორჯერ, 1995 და 2003 წლებში ეთამაშა და ორჯერვე ეჩემპიონა, პირველი საიქაო მარცხი იგემა. ადრე თუ გვიან უნდა წამეგოო, იძახდა ის ნაფინალევს და — დღეს დიდ, ძალიან სოლიდურ მოთამაშესთან დავთმეო, ასე დასძენდა.

**PROXIMUS DIAMOND GAMES**
**ანტვერპენი. გრინსეტი**
**საპრიზო 585 ათასი ევრო**

**ფინალი**

**კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) — სილვია ფარინა ელია (8, იტალია) 6:3, 6:0**

იმის მიუხედავად, რომ აქამდე 20 ტიტული მოეგროვებინა, ამქრის მეორეადგილოსან კიმ კლაისტერსს მშობლიურ ნიადაგზე ერთხელაც ვერ ემარჯვა. 2001 წლის ფინალში ის უზბეკმა იროდა ტულიაგანოვამ მოდრიკა, შარშანდელ გადამწყვეტ შეხლაში კი მან ვინუს უილიამსთან წააგო. წელს ანტვერპენში არც ტულიაგანოვა იყო, არც ვინუსი და არც კიმის სლემბედისწერად ქცეული ჟუსტინ ენენ-არდენი. ჰოდა, იოტისოდენა ეჭვიც არავის ეპარებოდა იმაში, რომ კვირის თავზე ბუთქუნა ბელგოგო მორიგ ლუკმას მიითვლიდა. ეგ მით უფრო, რომ მეზობელი ქვეყნიდან მისი გულისვარდის, გამწლაკული ლეიტონის საგმირო საქმეთა ამბები მოუდიოდა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ნეფე-პატარძალმა თავ-თავიანი მონაგარი 21-21-მდე აიყვანეს და დღეს სრული უფლება აქვთ, სალეიტონოდ გამოცხობილ ტორტს მოგვიანებით უფრო ტკბილი ჩაროზიც მიაყოლონ.

**ლევან კელაურაძე**



# ანიას ხანია თოვლის დედოფალს საღამოს ჯაბაც მოუხდა

**თოვლიანი სეზონი** იწურება და საინტერესო ბრძოლებით ბოლოვდება სამთო მოთხილამურეთა დავა მსოფლიოს თასისთვის. ამ ზამთრის ორ ყველაზე გამორჩეულ, თანაც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ მეფერდობე გოგონას შვედ ანია პაერსონს და ავსტრიელ რენატე გოეტჩლს ვერავინ მიეწევა. ამათ შორის კი სხვაობა სულ რაღაც 123 ქულაა.

ბოლო ქალურ ეტაპს ამ კვირადღეს შვედურმა დაბა არემ უმასპინძლა. ტრასა გიგანტური სლალომის ტიპისა იყო და სლალომისა და გიგანტური სლალომის სპეციალისტმა პაერსონმა შანსი ხელიდან არ გაუშვა — ყველა მეტოქესთან ერთად საკუთარი ჭირიც დაამარცხა. ანიას გრიპი სჭირდა, მაგრამ მაინც მოიკრბა ძალა, თხილამურებზე შედგა და პირველი და შედარებით უხეირო ჩამოსრიალების შემდეგ დეფიციტი მეორე მარჯვე ჩამოსლალომებით დაფარა. პაერსონი უკვე გახლავთ სეზონის ჩემპიონი სლალომსა და გიგანტურ სლალომში და ამ დისციპლინებში მოგროვილი ქულებით, როგორც მოგახსენეთ, ოდნავ უსწრებს სიჩქარის სპეციალისტ გოეტჩლს.

გოეტჩლს ვირაჟებიან და „დუნე“ სლალომებს ფეთიანი სუპერგიგანტებზე და სულისშემკვრელ სწრაფდაშვებებზე ქროლვა ურჩევნია, აკი ერთი დღით წინა, სუპერგიგანტური ეტაპი მოიგო, მაგრამ ახლა საერთოდ ვერ შეძლო სამსოფლიოთასო ჩათვლის ქულების შემატება.

პაერსონი კი სწორედ სიხარულის მწვერვალზე იყო, რაკი ფაქტობრივად შინ ისრიალა და მხარდამჭერებიც გაახარა და ამით თავი „საღამოს დედოფლადაც“ იგრძნო. „ეს იყო ამ სეზონის ყველაზე ღირსსახსოვარი გამარჯვება — ამბობდა სახეგაბადრული შვედი გოგონა — დილით ცოტა მეშინოდა, თან გრიპიც მაქვს და პირველი ცდა მთლად სასურველი დროით ვერ დავასრულე, მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა და ძალიან მიხარია, მე ხომ აი ამდენი ხალხი გავახარე. მესმოდა მათი შეძახილები და ძალიან დამწყდებოდა გული, მათთვის რომ არ გამემართლებინა მოლოდინი.“

წლეულს ეს პაერსონის მე-10 გამარჯვება იყო. ამ მხრივ რეკორდი ავსტრიელ ვრენი შნაიდერს უპყრია — ავსტრიელმა 1989 წელს 14 ეტაპი მოიგო. „კარგი იქნება, თუ შნაიდერს ვაჯობებ — ამბობს ანია — კარგი შანსი მაქვს და აუცილებლად ვეცდები, გამოვიყენო.“

მაგრამ მანამდე პაერსონმა გოეტჩლს უნდა წაართვას მსოფლიოს თასის მოგების შანსი.

**ფიფქია ზამთარაძე**

**ქალები. გიგანტური სლალომი**
22 თებერვალი. არე (შვედეთი)

1 ანია პაერსონი (შვედეთი)
2 მარია კონტრერასი (ესპანეთი)
3 ელისაბეტ გეორგლი (ავსტრია)

**საერთო ჩათვლა**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ანია პაერსონი | 1331 ქულა |
| 2 | რენატე გოეტჩლი (ავსტრია) | 1208 |
| 3 | კაროლ მონტილე (საფრანგეთი) | 933 |



რეგულარული ჩემპიონატი

# ბარტყს ისევ მოარტყეს

22 თებერვალი

**ნიუ ჯერსი 3:1 კალგარი**
*1:0 1:1 1:1*
1:0 ელიაში (5), 1:1 კობასიუ (26), 2:1 ელიაში (37), 3:1 სტივენსონი (60

„ნიუ ჯერსი“ კვლავ საჩემპიონო ფორმაში შედის. ათამაშდა პატრიკ ელიაში — სკოტ გომესის დუეტი, რომლის ანგარიშზე ბოლო ორ მატჩში 13(!) ქულაა. უფრო მნიშვნელოვანი კი გუნდის სანიმუშო დაცვაა — „კალგარისთან“ მასპინძლებმა 5-წუთიან უმცირესობაში ყოფნისას მეტოქეს დარტყმა რაა, ისიც არ გააკეთებინეს.

**დალასი 4:0 ანაჰაიმი**
*1:0 1:0 2:0*
1:0 ლეჰტინენი (18), 2:0 მოდანო (29), 3:0 მოროუ (41), 4:0 ტარჯონი (49)

**პიტსბურგი 3:6 ოტავა**
*1:3 2:1 0:2*
0:1 ვერმეტი (3), 0:2 ჰავლატი (6), 1:2 მოროზოვი (17), 1:3 ფილიპსი (19), 2:3 კრაფტი (22), 3:3 მელოუნი (38), 3:4 ნილი (39), 3:5 ჰავლატი (57), 3:6 ჰავლატი (60)



„პიტსბურგის“ მეკარე ჟან სებასტიან ობენს ექვსი შაიბა გაუძვრა

REUTERS

„პიტსბურგის“ ქომაგებს კვლავ გაუცრუვდათ იმედი. „ოტავასთან“ მარცხი ზედიზედ მე-18(!) გამოდგა, რის შემდეგაც გუნდმა ლიგის 29 წლის წინანდელი ანტირეკორდი გააუმჯობესა“ — მაშინ „ვაშინგტონმა“ მიჯრით 17-ჯერ წააგო, რაც 1992-93 წლების სეზონში „სან ხოსემ“ გაიმეორა.

ბედის ირონიით, „პინგვინებს“ ლიგის რეკორდიც ეკუთვნით. ეს 90-იან წლებში მოხდა, როცა გუნდი ამაყად ატარებდა თავის „პინგვინურ“ ემბლემას. დღეს იმ „პიტსბურგიდან“ გაპუტული ბარტყებიღა დარჩნენ. რას იზამ, სპორტში ყველაფერს ფული წყვეტს და გაჭირვებული გუნდი ძლივსღა ითქვამს სულს. ტრავმირებულია მარიო ლემიე. დანარჩენი ლიდერები სხვა გუნდებში გაიყიდნენ, ახალგაზრდობას კი ჯერ ბევრი აქვს სასწავლი. კიდევ კარგი, რომ ამჯერად მატჩმა ბოლომდე შეინარჩუნა ინტრიგა და მხოლოდ მარტინ ჰავლატის მეორე შაიბამ გატეხა მასპინძლები. ბოლო წამებზე კი ჩეხმა ჰეთ თრიქი შეასრულა.

„ისეთი დრო დადგა, უნდა ვისწავლოთ. სანამ მოიგებ, ჯერ უნდა წააგო და ჩვენც ამას ვაკეთებთ“ — ფილოსოფოსობდა ნამატჩევს საუკეთესო მეგოლე რაიან მელოუნი.

**მინესოტა 1:3 კოლორადო**
*0:1 1:1 0:1*
0:1 ჰეიდუკი (7), 1:1 შუინარი (28), 1:2 საკიკი (37), 1:3 კარია (51)

**ჩიკაგო 3:2 სენტ ლუისი**
*1:1 0:0 1:1 1:0*
0:1 ტკაჩუკი (6), 1:1 (12), 1:2 უენრიჩი (56), 2:2 კოლდერი (59), 3:2 რობიდა (65)

# ჟამიანობა ფილადელფიაში

**გახურდა** ნჰლ-ში გაცვლა-გამოცვლა და მერე როგორ. ამჯერად ჩიკაგოელი ალექსეი ჟამნოვის ჯერი დადგა. თვალსაჩინო რუს პლეიმეიკერზე რა ხანია, რამდენიმე გუნდი ნადირობდა, მაგრამ ყველას „ფილადელფიამ“ აჯობა. „მფრინავებს“ ერთბაშად ორი ცენტრფორვარდი დაუშავდათ — ჯერემი რენიკი და კეიტ პრიმო და გუნდმა ზედიზედ სამი მატჩი წააგო. ჰოდა, მეტი გზა აღარ ჰქონდა „ფილადელფიას“, რაიმე უნდა ეღონა. ბედის ირონიით, თავის დროზე ჟამნოვი „ფინიქსიდან“ „ჩიკაგოში“ სწორედ რენიკზე გაცვალეს. წლეულს რუსი ზურგის ოპერაციის გამო საქმეში მხოლოდ 31 დეკემბრიდან ჩაერთო და 20 თამაშში 18 (6+12) ქულა დააგროვა.

„გვეშველა. ჟამნოვი ნამდვილად უძლიერესი მოთამაშეა, რომელმაც ჰოკეიში ყველაფერი იცის. თუ პრიმო და რენიკიც გამოჯანმრთელდებიან, ჩვენს ცენტრფორვარდებს ლიგაში ბადალი არ ეყოლებათ“ — ამაყად თქვა საგანგებო პრესკონფერენციაზე გუნდის გენერალურმა მენეჯერმა ბობი კლარკმა



ალექსეი ჟამნოვი „ფილადელფიისთვის“ დაიხარჯება



**ლინარესის სუპერტურნირი**

ესპანეთი. 19 თებერვალი - 5 მარტი

IV ტური

ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0,5:0,5
ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) — ალექსეი შიროვი (ესპანეთი) 0,5:0,5
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) 0,5:0,5
*გარი კასპაროვი (რუსეთი) — დაისვენა*




# დაფადამალობანა

## ლეკო და კრამნიკი ერთმანეთს მშვიდობანას ეთამაშებიან

რაც ფიდემ ლეკო და კრამნიკი მსოფლიოს ჩემპიონატის სანახევარფინალო მატჩისთვის დააწყვილა — ეს კი ორი წლის წინ მოხდა — მას შემდეგ ორივე დიდოსტატი ტურნირებზე ურთიერთშეხვედრებში დიდად აღარ იკლავს თავს.

მოგეხსენებათ, ეს საჩემპიონო ნახევარფინალური მატჩი საკმაოდ გაიწელა და ხალხიც აჭორავდა, ორივე ძალებს მომავლისთვის ინახავს, ეშინიათ, საკუთარი სისუსტეები არ გამოაჩინონო.

გამონაკლისი არც ლინარესული შეხლა გამოდგა. მათ დაფაზე თვრამეტსვლიანი საჩვენებელი „ალლუმი“ მოაწყვეს, ერთი-ორი „ფუჭი ტყვია გაისროლეს“ და ერთმანეთს მშვიდობა უსურვეს.

დიდი კვეთებით არც მასპინძლების — ვალეხოსა და შიროვის პარტია გამოირჩა. ესპანელებმა თავიდან 13 სვლა დაფაზე მეგობრულად იარეს, შემდეგ ცოტა აუჩქროლდათ სისხლი და ოთხი სვლა ხოცეს ერთმანეთის ფიგურები, თუმც მალე „გონს მოეგნენ“ და დაზავება არჩიეს.

მათგან განსხვავებით, ყაიმისთვის ორჯერ მეტი სვლა დასჭირდათ ტოპალოვსა და რაჯაბოვს. პარტია ბულგარელის უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ვესელინი ერთ მომენტში შეცდა და ყმაწვილი აზერბაიჯანელიც მეორე წაგებას გადაურჩა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | პიტერ ლეკო (უნგრეთი) | 2 ქულა/3 თამაში |
| 2 | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 2/4 |
| 3 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 2/4 |
| 4 | გარი კასპაროვი (რუსეთი) | 1,5/3 |
| 5 | ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) | 1,5/3 |
| 6 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 1,5/3 |
| 7 | თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 1,5/4 |

# დუბაის ოქრო

არა, ვის არ აუბნევს თავგზას დუბაის ოქროს ბაზარი. რო მოგრთავენ სამკაულებით, უნებლიედ ჩამოდნება და ეგებ მიგავიწყდეს კიდეც, რომ ამ ქალაქში ჩოგბურთის სათამაშოდ ჩამოსულხარ. დუბაიში ქალთა საჩოგბურთო ტურნირი მიმდინარეობს, იაპონელი ჩოგბურთელი აი სუგიამა კი ოქროს ბაზარს სწვევია.







# ბავარიის მოსახვევებში

კარგა შთამბეჭდავი ჯილდოა, ჩვენმა მზემ და თანაც ზამთრის პირობაზე. სამხრეთ ბავარიაში ბობსლეის მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს და კანადური წყვილი, პიერ ლუდერი (მარჯვნივ) და ჟულიო ზარდა ოქროს მედალს ზეიმობენ. ლამაზის სხეულზე აღბეჭდილი მისამართი კი, თავიც რომ მოიკლათ, ნოკიას მობილურის რეკლამის მეტს ჯერჯერობით ვერაფერს შემოგთავაზებთ.




# მეორე კაცი

ექსტრიმ-მოტოში მსოფლიო თასის ღია შეჯიბრი გახურებულა ლისაბონში. ამ იაპონელს, ტაკაიშა ფუჯინამის უჩაუქია, რითაც მსოფლიო კლასიფიკაციაში მეორე ადგილამდე აცოცებულა.

# იშვიათი მასპინძლობა

პაკისტანი ინდოეთს მასპინძლობს ხუთმატჩიან სერიაში. ორი მეზობლის საკრიკეტო გუნდები აგერ რამდენი წელიწადია, ერთმანეთს არ სტუმრებიან პოლიტიკურ მიზეზთა გამო. სერიის პირველი შეყრა ყარაჩიში პაკისტანელებმა მოიგეს.







# ძველებური ციგები

ძველებური, ორკაციანი ციგები შვეიცარიის ალპების ერთ-ერთი ხიბლია. მათ არა მხოლოდ გასართობად, შეჯიბრისთვისაც გამართავენ ხოლმე. ასე, ადელბოდენში ასზე მეტი საციგაო გუნდი შეიკრიბა და ერთმანეთს ეჯიბრება თავდაღმართში.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge